

679  
1991

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
აღმსრებელი  
აპარატი



# საქართველოს საბჭოთავო საგარეო აღმსრებელი აპარატი

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
აღმსრებელი  
აპარატი



საქართველო — მშენებელი

№ 9-10

ISSN 0130—1624


# საქართველო



# გაეზარა ღღემა თბილისში



# ღმერთო, იხსენ სამართლებო!





# ქვეყნისა და ერის წინაშე

ცხოვრების აზიურმა წესმა, რომელსაც პეტრე პირველის მიერ ევროპისაკენ გაჭრილმა სარკმელმაც კი ვერ უშველა, საუკუნეებით დაამუხრუჭა რუსეთის იმპერიის დემოკრატიული განვითარება. კომუნისმის აპოლოგეტებმა კი უკვე ადამიანის სულის უკვდავებაში შეიტანეს ეჭვი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს რელიგიას; ყველა დონე იხმარეს, რომ რამენაირად გაეღვივებინათ ადამიანში ცხოველური ინსტიქტები, რითიც კიდევ ერთი დიდი ეპოქით დააბრკოლეს თაობათა ზნეობრივი განვითარება. ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის ისტორია თითქოს ერთ ადგილზე იყინებოდა — დღესაც 1801 წლის დონეზე დარჩა ხალხი.

ეს წელი საქართველოსთვის უდიდესი ტრაგედიის წელი გახლავთ. საქართველო, რომელიც უკვე არგონავტების დროიდან თუ არა, ქრისტეშობის პირველივე ათასწლეულიდან მაინც, ევროპული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს, დესპოტურ, აზიურ გარემოცვაში მოექცა და თავგანწირვით ეძებდა გამოსავალს. მოხდა ისე, რომ აზიიდან ისევ აზიაში მოვხვდით. „ერთმორწმუნე“ რუსეთს, მიუხედავად ევროპული სულიერი კულტურის დიდი გავლენისა, მიუხედავად პუშკინისა, ტოლსტოისა, თუ დოსტოევსკისა, იოტისოდენადაც კი არ შეტყობია დასავლეთევროპული ცხოვრების ევოლუცია. ცხოვრების წესი, მმართველობა, ფეოდალური ურთიერთობანი, მიუხედავად კაპიტალიზმის ჩანასახებისა, მაინც ერთ ადგილზე გაიყინა, აზიური დარჩა, ადმოსავლური, მონღოლური.

ხალხის აზროვნება „უკეთესი მეფის“ მოლოდინს არ სცილდებოდა. მეფეები ერთმანეთს ცვლიდნენ, უფრო ხშირად იცვლებოდნენ მთავარსარდლები, მეფისნაცვლები, გუბერნატორები თუ

მაზრის უფროსები, შემდეგ მათ იოკყენენ ბელადები, ცეკას მდივნები თუ რაიკომის მდივნები, ხოლო ცხოვრების წესი კვლავ ფეოდალური ურთიერთობის დონეზე რჩებოდა. აზიური დესპოტიზმით იყო შებოჭილი რუსეთის იმპერია უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში. ასეა დღემდე!

— ევროპამ ეს უძრაობისა და გამყინვარების პერიოდი სულ ცოტა ორი საუკუნის წინათ გადალახა, ორი საუკუნით ჩამოვრჩით ევროპულ დემოკრატიას, ჩამოვრჩით ჩვენც, ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაზე ადრე, უკვე მე-12 საუკუნეში ჩაისახა ჩვენში პარლამენტარიზმის ნიშნები, რომ აღარაფერი ვთქვათ რენესანსის ნიშნებზე, რომელთა მოსალოდნელი განვითარება ისევ აზიაში, დაწყებული მონღოლებიდან და დამთავრებული რუსეთით, ჩაახშო. აზიაში, ისევ აზიაში (სპარსეთმა და თურქეთმა) გვიბიძგა აზიისკენ, ანუ რუსეთისკენ.

რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ფსიქოლოგიაში „უკეთესი მეფის“ სინდრომი ცოცხალია: ნიკოლოზი სამინელია — ლენინი გვიშველის, სტალინი დესპოტი ყოფილა — ხრუშჩოვი გვიშველის, ხრუშჩოვი ვოლუნტარისტი და სულელია — ბრეჟნევი გვიშველის, ბრეჟნევი, ანდროპოვი და ჩერნენკო უძრავნი ყოფილან — მოძრავი გორბაჩოვი გვიშველის, ახლა იმედი მიეცათ — იქნებ ელცინმა გვიშველოს?

საქართველოშიც ასე იყო — ციციანოვი, პასკევიჩი, ვორონცოვი და სხვები... მაღლობა ღმერთს, გაათავისუფლეს მყავანამე, იქნებ შეგარდნამე გვიშველოს?

ყველა ახალი მეფე რაღაც სიკეთეს გვპირდება, ყველა ცდილობს „თვალი აგვიხილოს“ წარსულ „შეცდომებზე“, ჩვენ პირველ ხანებში პირდაღებულნი მივჩერებივართ, შემდეგ ნელ-ნელა ეჭვი

შეგვეპარება და კვლავ ველოდებით ახალ „კეთილ მეფეს“.

უსაზღვროა ჩვენი ლოდინი...

უფრო მეტის გაკეთება, უფრო აზრიანი ნაბიჯის გადადგმა ხალხს არ შეეძლო. დღეს კი შეუძლია?

ჩვენში ახლა იწყება მე-19 საუკუნე. კარგი იქნება გავიჩინოთ ვინმე წვერებიანი მარქსი, რაიმე ახალი სისულელე გამოვიგონოთ, ვინცლო ეს მოძღვრება ევროპაში გაიტანოს ვინმემ და ორი საუკუნით დავაბრკოლოთ ევროპელები. მაშინ ნამდვილად დავეწვეით! ჩვენ ხომ სხვანაირად არ შეგვიძლია, ჩვენ ხომ მდიდარ მეზობელს ვერ ვიტანთ, საკუთარი გამდიდრება კი არა, მისი გაღარიბება გვინდა!

ეს მონური, პროლეტარული ფსიქოლოგია საუკუნეთა მანძილზე შეუმუშავდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ თაობებს. მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შეიძლებოდა გაჩენილიყვნენ პუგაჩოვები და ლენინები!

კარგად თქვა ამასწინათ სატელევიზიო გამოსვლაში კრიტიკოსმა ლევ ანინსკიმ: არსებობს ორგვარი ბოლშევიზმი, პარტიული ელიტის ბოლშევიზმი და სახალხო ბოლშევიზმიო. პარტიულ ბოლშევიზმს როგორმე მოვერევით, პიროვნებათა დანაშაულსაც ვამხელთ, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ თვით ხალხია ბოლშევიკიო! ცხადია, იგი მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას არ გულისხმობდა, რაზედაც ჩვენ შევაჩერეთ ყურადღება: ხალხის მონური, პროლეტარულ თუ ბატონყმურ ფსიქოლოგიაზე, იმაზე, რომ ხალხი მიეჩვია, ბრძმასავით თვალებახვეული, ჯონის კაკუნით მიპყვეს გამცილებელს თუნდაც უფესკრულისაკენ, ოღონდ არ მოთხოვონ, თვითონ მიხედოს თავს და საკუთარ ხვედრზე თვით აგოს პასუხი. ხალხს მეფე უნდა, ბელადი უნდა, დიქტატორი უნდა, ოღონდ ცოტა უფრო

„კეთილი“, რომელიც „მე“ არ შემიხებდა, სხვა კი ჭირს წაუღია! არავინ ამას არ იტყვის ხმამაღლა, გულში კი უმრავლესობას ასეთი ჭია უნის.

საჭიროა რევოლუცია, აფეთქება, მაგრამ არა ისეთი რევოლუცია, რომელსაც მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა მოჰყვება, „კეთილი“ მეფისა და „კეთილი“ ახალი იდეების მოლოდინში, არამედ სულიერი რევოლუცია, რომელიც ახალ ზნეობრივ ორიენტორებს დასახავს.

მაგრამ არის კი, თუნდაც გენებში, ჩამარხული საამისო ძალა? თუ ჩვენ მიიმუნები ვართ, უნდა ვადიაროთ, რომ ასეთი ცვლილებებისათვის მილიონი წელი დაგვჭირდება, როგორც დასჭირდა მიიმუნის გადამიანებას, ხოლო თუ ჩვენში დღევანდელი დღეთაებრივი ცეცხლი და სხეულში უკვდავი სულია ჩაბუდებული, მომავალი არ არის უნუგემო. მაგალითი თვალწინ გვაქვს, ჩვენი მეზობელი ევროპელების სახით, რომელნიც კაცობრიობის მესამე ათასწლეულს სულ სხვა ზნეობრივი კრიტერიუმებით ხვდებიან. მაგრამ იმისათვის, რომ გავადვივოთ ჩვენს სულში მიძინებული ადამიანური თავისუფლების თესლი, მარტო უნდა დავრჩეთ ღმერთის წინაშე, გავთავისუფლდეთ მიწიერი და მატერიალური სიდიდეების მონობისაგან, ჩვენნი იდეებისაგან და ვემონოთ მხოლოდ ღვთაებრივ სიმაღლეებს. ადამიანი ღვთის მონად, მის სახედ და ხატად არის დაბადებული და რა უფლება აქვს ღვთაების მონას, სხვას ემონოს, სხვისი მონობა სატანის მონობა! „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“ — პოეტის ამ სიტყვებშიც მხოლოდ ღვთაებრივი მონობა უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ქართველთათვის საქართველოს მონობა ღვთაებრივი სიყვარულის გამოვლინებაა, რადგან საქართველო ისეთივე ღვთის შვილების ქვეყანაა, როგორც თითოეული ჩვენგანია.

პოეტს უფლება აქვს, ერთგულების ნიშნად საყვარელ არსებებსაც ეყმოს რადგან ამასაც კვლავ ღვთაებრივი სიყვარული ულამაზებს ხორცს, როგორც

საღუძველი კაცობრიობის განახლებისა, მაგრამ მას არა აქვს უფლება, ემონოს თუნდაც მომხიზლავ მოხელეს, ვის ზურგს უკანაც იგულისხმება... სავარძელი!

მარტო უნდა დავრჩეთ ღმერთის წინაშე სატანისადმი მონობისაგან გასათავისუფლებლად. მაგრამ ეს არ ნიშნავს გათითოკაცებას და მაინც და მაინც ბერად შედგომას, განდგეილობას.

საქართველო ღვთის წინაშე მარტო უნდა იდგეს! მარტო, როგორც მლოცველი, რომელიც ღმერთს ევედრება არა მარტო საკუთარ ცოდვათაგან განწმენდას და ზრუნვას სულის უკვდავებისათვის, არამედ ლოცულობს იმათთვისაც, ვინც ეკლესიის გარეთაა. ეს არ არის მარტობა, ეს არ არის კაცობრიობისაგან გამოყოფა, კაცობრიობისაგან, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს და ყოველთვის წარმოადგენდა საქართველო.

ყალბი და სატანური „ახალი“ სამოკავშირეო ხელშეკრულების აპოლოგეტთა მოწოდება: ყველა ხალხი ერთად უნდა ვიყოთ და მხოლოდ ერთად უნდა შევძლოთ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაო. თუნდაც დავუშვათ, რომ ამ მატერიალური სიკეთის მისაღწევად კვლავ იმპერიული ბორკილებია საჭირო, ცხადია, რომ სულიერი სიკეთის მოსაპოვებლად ეს გზა ისეთივე დამღუპველია, როგორც იყო საქართველოსთვის მონობის ორი საუკუნე. ღირს კი საბჭოთა კავშირის არსებობა იმად, რომ ცოტა უფრო მაძლარი მონები ვიყოთ? „საბჭოთა სიმამლრის“ სამოცდაათწლიანი გამოცდილება მაინც არ გვქონდეს!

არა, ახლა სხვაგვარად ვიქნებით, საბაზრო ეკონომიკაზე გადავალთ! სიცრუეა ეს, სატანის მოგონილი სიცრუეა! ეკონომიკის ახალ მოდელზე გადასვლა სულიერი ერთიანობის გარეშე ყოვლად შეუძლებელია, მხოლოდ მონური ეკონომიკა აერთიანებდა საბჭოთა კავშირს. თავისუფალი ეკონომიკა სრულ პოლიტიკურ თავისუფლებასაც მოითხოვს. ბარონმა მიუნაუზენმა თმებში წაივლო ხელი და ისე ამოქაჩა საკუთარი თავი ჭაობიდან. ეს

უფრო დასაჯერებელია, ვიდრე სოციალისტური ჭაობიდან საბჭოთა კავშირის ამოსვლა.

პატივს ვცემ საბჭოთა მიუნა-აუზენების ფანტაზიას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთმანეთთან ძიძგილობაში, რაკი ჩვენ ერთი კი არა, თხუთმეტნი ვართ, უფრო ღრმად ჩავეფლობით ჭაობში. ნამდვილ მიუნა-აუზენსაც არ ეყო ფანტაზია იმისათვის, რომ წარმოედგინა, როგორ ამოდიოდა ჭაობიდან თხუთმეტი კაცი, ერთმანეთს რომ მიუჯდებოდნენ კრავდა და მხრებზე აცოცდებოდა... ვითომ შემთხვევითია ყარაბახი, შიდა ქართლი, დნეპრისპირა და გაგაუზების „რესპუბლიკები“, ბალტიისპირეთის „რუსკოიაზოჩნოე ნასელენიე“?

ისტორიის „შემოქმედი“ ბოლშე-ვიკებისათვის ძნელია ისტორიული კანონზომიერების პატივისცემა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ მოუწევთ ისტორიას გაუწიონ ანგარიში. მათ არა აქვთ უფლება ახალი სახელმწიფოები „შექმნან“ და, მით უმეტეს „გააუქმონ“ ისტორიის მიერ შექმნილი სახელმწიფოები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორია თითქმის სამ ათასწლეულს ითვლის. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანი სხეული, რომელსაც დროდადრო სხვადასხვა „ქირურგი“, მათ შორის, ბოლო ხანებში, რუსეთის იმპერია სხვადასხვა ოპერაციას უტარებდა (ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, „გაჯანსაღების“ მიზნით), მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ მას შერჩა ერთიანი უკვდავი სული, როგორც კაცობრიობის დამოუკიდებელ სუბიექტს.

სწორედ ამიტომ საქართველო, სრულიად საქართველო ცალკე უნდა წარდგეს ღვთის წინაშე, როგორც სულიერად ერთიანი და განთავისუფლდეს არა მარტო იმპერიისაგან, როგორც ტერიტორიული ერთეული, არამედ გაადვიდოს თავის სულში ის ზნეობრივი იდეალები, თავისუფლების, სიყვარულის, მეგობ-

1991

საქართველოს  
მ რ თ ვ ს უ ლ ი  
ბ ი ბ ლ ი თ ე რ ი ა

# სიზკრიუსა და სიზაკრუსი უიუი

რობის, ერთგულების სულისკვეთება, რომელიც ასე გენიალურად გამოხატა შოთა რუსთაველმა.

სწორედ ამიტომ, არავითარი უფლება არა გვაქვს, არავითარი უფლება არა აქვს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, ცალმხრივად გაიგოს თავისი დანიშნულება. შეიძლება ვინმეს მკრეხელობად მოეჩვენოს ჩემი ეს ნათქვამი, მაგრამ იმპერიული მარწუხებისაგან საქართველოს განთავისუფლება შეუძლებელია, თუ ახლავე არ ვიზრუნეთ საქართველოს მოქალაქის პიროვნული თავისუფლებისათვის, კრემლს თავისი ცოდვებიც ეყოფა, ჩვენს ცოდვებს კრემლს ნუ გადავბრალვებთ.

კერძო საკუთრების შემოღება და საწარმოთა პრივატიზაცია საბჭოთა კავშირის ერთგულ რესპუბლიკებშიც კი დაიწყო უკვე, ჩვენ კი „საზოგადოებრივი“ საკუთრება არა და არ გვეთმობა, ეგ არის მხოლოდ — „საბჭოთას“ და „სოციალისტურს“ აღარ ვუწოდებთ...

კერძო საკუთრება და საწარმოთა პრივატიზაცია პიროვნების თავისუფლების საწინდარია, ჩვენს ხელისუფლებას კი რატომღაც მიაჩნია, რომ პიროვნების თავისუფლებაზე მხოლოდ მას შემდეგ უნდა ვიფიქროთ, როდესაც ქვეყანას გავათავისუფლებთ.

შეცდომაა ეს, საბედისწერო შეცდომა! იმპერიაში მცხოვრები ადამიანის მონური ყოფა იმედს მიანიჭტოვებს, რომ მის სულში ოდესმე კვლავ გაღვივდება დედაებრივი თავისუფლების თესლი, ხოლო დამოუკიდებელ სახელმწიფოში — რაოდენ ფორმალურიც არ უნდა იყოს ეს დამოუკიდებლობა — ადამიანის იმავე მდგომარეობაში დატოვებით, ჩვენ ამ იმედსაც ვსპობთ.

თითოეული ჩვენგანის ვალია — საზოგადოებისაც და ხელისუფლებისაც — ვიბრძოლოთ არამარტო საქართველოს, არამედ საქართველოს ყოველი მოქალაქის პიროვნული თავისუფლებისათვისაც. ეს ერთი ამოცანაა და არა „პირველი“ და „მეორე“ რიგის საქმე.

ჩვენ მართალნი უნდა ვიყოთ ღმერთისა და ერის წინაშე!

## პაცლავ ჰაველი

დაახლოებით ერთი წლის წინათ, მყუდრო საშობაო დღეებში, დავაპირე მშვიდად მომეხაზა პატარა ესსე ესკიზი, რომლის თემაც უნდა ყოფილიყო შიშის განცდა და უბედურების წინათგონობა აღმოსავლეთ ევროპულ ლიტერატურაში. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია თვით ისტორია და ერთხანს საშუალება აღარ მომცა ჩემს ესსეს ჩავვლოდი. ამიტომაც გადავწყვიტე, არჩვენების შემდეგ მიგბრუნებოდი მას.

აი, პარადოქსი: ახლა უკვე ისტორია კი არა, ჩემს თავს მე თვითონ ვუღობავდი გზას: ერთი ბჭკარის დაწერაც ვერ მოვახერხე, ისეთნაირად დათრგუნვილი, უმწეო და უნიათო ვიყავი. მე მინდოდა დამეწერა შიშზე და ახლა სწორედ შიში იყო, გასაქანს რომ არ აძლევდა ჩემს კალამს: შიში ესსეს თემის, თვით შემოქმედებითი პროცესის, საკუთარი სიტყვებისა და ჩემივე თავის წინაშე.

ამნაირი პარადოქსის პასუხად მხოლოდ ერთი გზა მქონდა, — ასევე პარადოქსულად განმეხილა თემა: აღმეწერა ის სიტუაცია, რომელიც წერის საშუალებას აღარ მაძლევდა.

აღმოსავლეთ ევროპული კულტურისა და ლიტერატურის დახასიათებისას ვერავითარი აღწერილობა ვერ იქნება სრული, თუ ხაზგასმით არ გამოვყოფთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან მომენტს: უბედურების გამძაფრებელი განცდა, უჩვეულოდ გამახვილებული ყურადღება შიშის იდეისადმი. გასაგებია რატომაც, იქ, სადაც ისტორია ყოველთვის ჩახლართული გორგალი იყო, სადაც

სიტყვა წარმოთქმული ზალცბურგის ლიტერატურულ ფესტივალზე, ჩეხეთ-სლოვაკეთის პრეზიდენტად ვაცლავ ჰაველის არჩევის შესახებ

არსებობენ ესოდენ რთული კულტურული, ეთნიკური, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები, სადაც ისახებოდა მთელს ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა, — შიში ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების არსებით განზომილებად რჩება და ყურადღებით გამოკვლეულ უნდა იქნეს, როგორც ფენომენი.

მე მგონია, ჩემს მიერ განცდილი შიში ტიპური თუ არა, ყოველ შემთხვევაში გასაგები მაინცაა აღმოსავლეთ ევროპის სულიერი ცხოვრებისათვის. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია თავისი გამარჯვებით დათრგუნვილი ინგლისელი, ფრანგი თუ ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში ამნაირი მდგომარეობა სავსებით ბუნებრივია. მე შემხვედრია ამ კომპლექსის სხვადასხვა ვარიანტი არა მარტო ჩემს სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც, ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებმაც თავი დააღწიეს ტოტალიტარიზმის უღელს.

ამ ქვეყნების მოქალაქეებს ძვირად დაუჯდათ თავისუფლება, რომელიც, ყოველად უცნაური პარადოქსულობით, ერთგვარ მახედაც კი იქცა. თავისუფლებას უჩვევთათვის ერთხანს გაუგებარი იყო, როგორ ესარგებლათ თავისუფლებით, რითი შეეცნოთ განთავისუფლებული სივრცე. თავისუფლება თავზარდამცემი იყო. გვერნებოდათ, ამ ხალხის ყოფნას აღარც აზრი ჰქონდა და აღარც მიზანი.

დაახლოებით ასეთივეა ჩვენი ახლანდელი შიშიც, — შიში მომავლის წინაშე. ტოტალიტარიზმის ეპოქისაგან განსხვავებით, როცა მომავალი, თუნდაც ყველაზე ამაზრზენი, სავსებით ნათელი იყო, დღეს ის სრულიად ბუნდოვანია და ბურჟუაზიის მოცული. ტოტალიტარიზმისას საყოველთაო და ამიტომ ერთადერთი საფრთხე — დევნისა და შევიწროების საფრთხე, — ახალი, დღემდე უცნობი ან დიდი ხნის წინათ დაიწყებული პრობლემების მთელმა სპექტრმა შეცვალა: ნაციონალური კონფლიქტებით დაწყებული და ეკონომიკური სიძნელებითა თუ ახალი კაბალის — კომერციული, ფულადი და სამომხმარებლო კაბალის საფრთხით დამთავრებული.

ჩვენ ყოველთვის ლამაზად ვახერხებდით წაგებას და საბოლოოდ შევეჩვიეთ დევნილთა როლს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ გამარჯვებამ და მდევნელთაგან თავის დაღწევამ სულიერი დისკომფორტი გამოიწვია. ხანდახან ადამიანებს ნოსტალგიასაც კი ვამჩნევდით იმ დროების გამო, როცა ცხოვრება ჩვეული კალაპოტით მიედინებოდა და არასოდეს გადმოდიოდა ძალიან ვიწრო და გულისგამაწვრილებლად ერთფეროვან პეიზაჟებს შორის მოქცეული ნაპირებიდან, მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს იყო ნაპირები, რომლებიც ყოველი წერტილიდან კარგად მოჩანდა. ახლა კი კალაპოტი უჩვეულოდ გაგანვირდა, ნაპირები წარმოუდგენლად დაშორდნენ ერთმანეთს, და ცურვაც გაცილებით უფრო სახიფათო გახდა.

ვიმეორებ, თქვენს წინაშეა პირწმინდად აღმოსავლეთ ევროპული სიტუაცია. ჩვენს ლიტერატურაში ამნაირი სიტუაციების უთვალავ ნიმუშს შეხვდებით, ორ მსოფლიო ომს შორის მოქცეული უახლოესი წარსულიდან აღებულს. ბედმა ისე იწვინა, რომ მე სხვებზე უფრო ხშირად გადავყარდი ამ შიშს, იმნაირ სიტუაციებში, რომლებზედაც წინასწარ რაიმეს თქმა

თითქმის სრულიად შეუძლებელია.

ჩვენი შიში ისტორიის წინაშე მარტო მომავლის შიში როდია: ის უშუალოდ ერწყმის წარსულის შიშს. ორივე შიში მჭიდროდ უკავშირდება და განაპირობებს კიდევ ერთმანეთს. ვისაც წინ გახედვისა ეშინია, ძალზე უხალისოდ იყურება უკან, ხოლო ვინც წარსულს უფრთხის, იმავდროულად, ყოველივე იმასაც უფრთხის, რასაც მომავალი უქადის. ჩვენს ცხოვრებაში სიცრუის შიში ძალიან ხშირად ახალ შიშს ბადებს. ჩვენ თავს ვინუგეშებთ იმედიით: თუ ერთ რამეში არ ვიცრუეთ, ვითომ საერთოდ აღარ ვიცრუებთ. ვინც ისტორიას აყალებს, ხალხის თავისუფლებას კი არ იცავს, არამედ ძალზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მას... საზოგადოების თავისუფლება ყოველთვის არასრული იქნება, თუკი მთლიანად არ განთავისუფლდა სიმართლე.

ბევრი ჩვენგანი, ასე თუ ისე, დამნაშავეა. და ვიდრე ჩვენს დანაშაულს არ მოვიანაიებთ, ვერც მოტყეებას ვეღირებთ და ვერც სულიერ სიმშვიდეს. მე არცთუ უსაფუძვლოდ მწამს, რომ სიმართლეს შეუძლია შიშისაგან განკურნოს სული. თვითეულმა ჩვენგანმა, ვინც ამ წლების მანძილზე, ყველაფრის მიუხედავად, თამამად ამბობდა სიმართლეს, ბოლომდე შეინარჩუნა მთლიანი მსოფლხედვის უნარი, გამბედაობა, ზომიერების გრძნობა, მოყვასის ვაგებისა და მიტყეების ნიჭი, სულის სიწმინდე და სიწრფე. ასე გადაგვარჩინა სიმართლემ და ჩვენი წარწყმედის საშუალება არ მისცა სასოწარკვეთილებას.

ჩვენი თავისებური, აღმოსავლეთ ევროპული შიში ურიცხვი უბედურების სათავედ იქცა. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო ადგილობრივი, არამედ გლობალური პრობლემებიც ამ შიშითაა განპირობებული. მრავალი უნდილი და უმწიფარი სულისათვის შიში სისასტიკის, ძალადობის, ფანატიკური სიძულვილის გამომწვევი მიზეზი გახდა.


მაგრამ შიში ყოველთვის დამანგრეველი როდია. საკუთარი უმწეობის შიშმა შეიძლება ახალი ძალა შეგვმატოს. ღვთისმომიშება, ისევე როგორც შიში საკუთარი სინდისის წინაშე სიმამაცის სათავეა. დამარცხების შიშით ჩვენ უმალ ვიმარჯვებთ ხოლმე. თავისუფლების შიში შეიძლება საბოლოო განთავისუფლების სტიმულად იქცეს. ხოლო შიში მომავლის წინაშე აუცილებელიც კია საიმისოდ, რომ ეს მომავალი იმნაირი გამოდგეს, რანაირის დანახვაც გვაფრთხობს.

რაც უფრო მეტად ძრწის ჩვენი გრძნობელობა ნებისმიერი მუქარის წინაშე, მით უფრო ადვილია თავდაცვა. ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ჭმუნვისა და სიცარიელის განცდის მიღმა იმალება ცხოვრების მბრძანებლური გამოწვევა, მისი ახალი აზრის ძიება. განა ეჭვით არ იწყება ჭეშმარიტება? იქნებ სასოწარკვეთა ასაზრდოებს სასოებას, და თუ თავდაპირველად ცხოვრების აბსურდულობა არ განვიცადეთ, გავვიჭირდება მისი საზრისის წვდომა.

ჩემი სასოწარკვეთის წამებზე პოლიტიკოსისათვის ესოდენ უჩვეულო მსჯელობის შემდეგ მინდა მაინც ოპტიმისტურად დავასრულო ჩემი გამოსვლა. მოდი, ერთად, მაქსიმალური ძალისხმევით ვცადოთ, თავი დავაღწიოთ სიცრუისა და სიმართლის შიშს. მშვიდად, ფხიზელი თვლით შევხედოთ საკუთარ თავს, დაუუკვირდეთ ჩვენს წარსულს, აწმყოსა თუ მომავალს. მოდი, ერთად დავთესოთ ჩვენი ეჭვების, შიშისა თუ უსასოების თესლი, რათა ერთადვე მოვისთვლათ ახალი ევროპული თვითშეგნების სანუკვარი ნაყოფი, — იმათი თვითშეგნების, ვისაც არ ეშინია მზერით გადასწვდეს შორეთს, არ ეშინია გაიხედოს პირადი თუ ჯგუფური ინტერესების, დღევანდელი დღის ჰორიზონტს მიღმა.

თარგმანა  
ბაჩანა ბრეჰვაძემ

# დიდი ჰოეზის ალბომი



ო ჯ ა ხ ს  
 თ ქოქი ნაეა ში არსას  
 ქუ ქაქნა ნში კაქინიქა  
 ცოქიშო სხსუქაქი  
 ქონინქა მიაიქა აქ  
 თქუქაქ

*ქუქიქაქ*  
*ქუქიქაქ*

ბაბუაჩემი, კოტე ნაკაშიძე, პროფესიით აგრონომი, ოცინი წლების დასაწყისში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მუშაობდა სოფელ მუკუჯანში.

1922 წლის აგვისტოში ერთ-ერთ მეგობარს მასთან, როგორც ქართული ლიტერატურის დიდ მოყვარულთან, სტუმრად ჩაუყვანია გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

პოეტებს მთელი აგვისტო მუკუჯანში, მის სახლში გაუტარებიათ.

გიორგი ქუჩიშვილმა ბაბუას ლექსების კრებული უსასწოვრა წარწერით: „ნიშნათ უზომო სიყვარულისა — იშვიათ ადამიანს — კოტე ნაკაშიძეს — ავტორისაგან. 1922, მუკუჯანი“.

ავისტოს ერთ დღეს დიდ გალაკტიონს ბაბუასათვის საწერი ქაღალდი და ნემსი და ძაფი უთხოვია, მეორე საღამოს კი საჩუქრად მიუღრთმევია თავისი ხელით აკონაშული საკუთარი ლექსების მცირე ალბომი წარწერით.

თითოეულ ლექსს დასმული აქვს თარიღი — 1922 წ. აგვისტო.

ბაბუაჩემი, კოტე ნაკაშიძე, 1924 წლის რეპრესიებმა იმხვერპლეს, ლექსების ამ ალბომს კი, რომელსაც უცვლელი სახით ვთავაზობთ მკითხველს, დღემდე სათუთად ვინახავთ, როგორც ჩვენი ოჯახის უძვირფასეს რელიქვიას.

კონსტანტინე ნაკაშიძე.

ეს მშობლიური ქარია,  
 ეს სოფელია მძინარე.  
 არ ვიცი, რად მიხარია  
 ვაზი, ყანები, მდინარე,

1922.  
 აგვისტო.

მე აღტაცებით ისევ ვენთები,  
 ძველი ტაძრები ისევ შენდება.  
 ეფემერიდას გამოვწვთები  
 და ფერადებში გამოთენდება.

1922  
 აგვისტო

შუა-დღეს ვისმენ მდუმარე სმენით:  
 მე მესიზმრება სიცხე, პალმები.  
 რაღაც გული სწუხს... ვერ ვიტყვი ენით  
 რაზე ვოცნებობ, ვის ვესალმები.

1922  
 აგვისტო

მთამ ნისლი შემოიხვია,  
 გზაც სიარულმა დალია.  
 ის ძველისძველი ციხეა,  
 ის კიდევ წინანდალია.

მთები სჩანს როგორც გიგანტი გრდემლი,  
 იღუმალების რბიან ზვირთები.  
 მომენტატრება ბავშვური ცრემლი,  
 ვეცდები, მაგრამ ვერ ავტირდები.

მზე ჩადის მარჯნის ელვარე ბურში,  
 იქ, ქაოსებში, ზარებს აიტანს,  
 გაექანები, რომ იმ აღმუშრში  
 გზა იყოს არსით და არსაიდან.

მთელი სამი დღე მივდიოდით ქარვიან ველად  
 და აი თვალწინ გაიშალა ლურჯი იორი.  
 მარადი მთები შემორტყმოდნენ ხეობას მცველად,  
 უფრო დიადი არ მინახავს რამ მაგიერი.

არ ვიცი, მქონდა თუ არა ფრთები  
 და გაქანებული ელვის მანტია.  
 კარგია: ქარში მიდიხარ, კრთები,  
 ირგვლივ ფარული ანდამატია.

გაჰკირავლე შინდებით  
 იბურება ყვარელი.  
 ვაზით და სიმინდებით  
 მიდის დღე საყვარელი.

სჩანს ჩამავალ ჩრდილების  
 მწვერვალებზე მონთება  
 და ომგადახდილების  
 ლანდი მომგაონდება.

მაგრამ შეგნებათ ციურთათვის ჩვენ არ გვეცალა,  
 ვეშურებოდით უფრო იქით, რომ გაძარცული  
 ციხე — კოშკიდან საბურავი გადაგვეცალა  
 და ნანგრევებში დაგვეტირა ჩვენი წარსული.

სხვებს ენატრებათ ლოჟა, პარტიერი  
 და მოთამაშე ქალის დიარი,  
 მე კი ვიქნები მილიარდელი  
 უფრო სხვა ძალით და სხვანაირი.

არის რაღაც ალაზნის  
 ვედრებაში — გვიანი  
 მას ვერასდროს ვერ ახსნის  
 თვალი ოცნებანი.

ჩვენ მივდიოდით მთელი ღამე განწირულებით,  
 თვითეული ქვა გულში ფიქრებს სდევდა ხუნდებით.  
 მუკუჯანში ვართ. მთებს ნისლებში მიერულებათ,  
 უთუოდ მაღე ისევ ტფილისს დაუბრუნდებით.

შორიდან ისმის ქალაქის ყეფა,  
 არავის ფრთები აქ არ ჰქონია,  
 მე უფრო დიდი ვიქნები მუფე  
 ვინემ ეს საღმე გაუგონიათ.

მხოლოდ გული (ოჰ, გული)  
 ორავს დიდი ხანია —  
 რომ იქ დღეა ერთგული  
 და აქ, ალაზნია...

1922  
 აგვისტო

1922  
 აგვისტო.

1922  
 აგვისტო

# ათი ეზენაჰა

ზურაბ კიკნაძე

იმანუელ კანტის ცნობილი გამონათქვამი: ჩემს მაღლა ვარსკვლავიანი ცაა, ჩემში კი ზნეობრივი კანონი, მხოლოდ ნაწილობრივ ამხელს ჭეშმარიტებას. ნამდვილად არსებობს შესატყვისობა ვარსკვლავეთსა და ადამიანის შინასამყაროს შორის, დიდ კოსმოსსა და მცირე კოსმოსს შორის, და საბოლოო აზრით სამყაროსაც, როგორც ადამიანთა საზოგადოებას, მორალური კანონი განაგებს, მაგრამ ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა წარმოშობა აქვს მორალურ კანონს ადამიანში. გერმანელი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ზნეობრივი პრინციპები, რომელთაც ადამიანური საზოგადოება ეფუძნება, იმანენტურია ადამიანის ბუნებისთვის, როგორც თანდაყოლილი რამ უნარები. ვარსკვლავიანი ცა ჩემს გარეშეა, ამბობს ის, მაგრამ იქნებ ადამიანის ზნეობრივი წყობა იმ ვარსკვლავეთის ტვიფარია და ზნეობრივი კანონებიც ისევე ღვთიური წარმოშობისაა, როგორც ადამიანია შექმნილი ღვთის ხატად და ატარებს ამ ხატს თავის უღრმეს ბუნებაში.

ის, რაც მსჯელობისა თუ ფილოსოფიის საგანი შეიძლება იყოს, როგორც მეტაფიზიკური პრობლემა, ბიბლიურ ტრადიციაში შემონახულია როგორც ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ერის წარსული ცხოვრებიდან, როგორც ისტორიული სინამდვილის ფრაგმენტი. მოსეს მეორე წიგნში, სადაც აღწერილია ისრაელიანთა გამოსვლა ეგვიპტიდან, აეტორს შევეყვართ ამ სინამდვილეში. იგი გვაზიარებს ზნეობრივი პრინციპების ღვთაებრივი წარმოშობის საიდუმლოს. ნიშანდობლივია, რომ ამ პრინციპების ზეგარდმო გადმოცემა ხდება სწორედ ეგვიპტიდან, „მონობის სახლიდან“, გამოსვლისას, რადგან ხალხი თავისი არსებობის ახალ ხანაში შედის, საიდანაც უნდა დაიწყოს მისი ისტორია. ღმერთი, რომელიც გამოეცხადა აბრაამს და აჩვენა მას, როცა ცისკენ აახედა, ანალოგია ვარსკვლავეთსა და მის წიაღს შორის. საიდანაც ურიცხვი ხალხი უნდა გამოსულიყო — „აზხედე ცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. მე რე უთხრა: ამდენი

იქნება შენი შთამომავლობა“ (დაბ.15.5) — იგივე ღმერთი ახლა, სინაის მთაზე მოსეს პირით უცხადებს ამ გამრავლებულ შთამომავლობას ადამიანური ცხოვრების წესს. ათი მცნება წარმოითქვა გრგვინვაში და ჭექა-ქუხილში, რათა მოსმენილი სიტყვების წარუვალი და კატეგორიული მნიშვნელობა აღქმულიყო, რათა ხალხს უშუალოდ განეცადა ბუნების მოვლენებთან ერთად, რომ ეს მცნებანი იმავე ხელიდან არის გამოსული, რომელმაც ეს სამყარო შექმნა. „მესამე დღეს, გათენებისას, შეიქმნა გრგვინვა და მეხისტება, ჩამოწვა მთაზე ზრქელი ღრუბელი, და გაისმა საყვირის ხმა, ძალზე ძლიერი. შეძრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი. გამოიყვანა ბანაკიდან ხალხი მოსემ ღვთის შესახვედრად და დადგნენ მთის ძირას. ბოლოვდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში. როგორც ჭურას, ისე ასდიოდა კვამლი, და ძლიერად ირყეოდა მთა...“ აი, ამ ვითარებაში გამოცხადდა ათი მცნება. „...ხედავდა მთელი ერი ჭექა-ქუხილს, ცეცხლის ალს, საყვირის ხმას და აკვამლებულ მთას. დაინახა ხალხმა, შიშით უკუიქცა და მოშორებით დადგა“ (წ.გამოსვლ. 19, 16-18; 20, 18).

ამ ათი მცნებით ადამიანს უნდა გაეგო თავისი ვინაობა, ღმერთი ამ სიტყვებით არ ეუბნება, არ ავალებს მას იყოს იმაზე მეტი, რაც არის. ვინაიდან რა უნდა იყოს იმაზე მეტი, რასაც ადამიანში არსებული ღვთის ხატი და სამომავლოდ მოსაპოვებელი ღვთის მსგავსება გულისხმობს. ღმერთი ეუბნება ადამიანს: შეასრულე ეს მცნებები, რათა ადამიანი იყო, ადამიანი ღმერთთან მიმართებაში და ადამიანი, სხვა ადამიანებთან („ახლობელთან“, „მოყვასთან“, „თვისტომთან“) დამოკიდებულებაში. ადამიანმა უნდა შეასრულოს ეს მცნებები

ღვთის ხატის შესანარჩუნებლად, ადამიანად ყოფნისათვის. ეს მცნებები ციდან ჩამოვიდა და უფლის თითებით დაიწერა ქვის დაფებზე, რათა ადამიანის გულში გადაწერილიყო. ათივე მცნება ერთბაშად გამოცხადდა, მთელი ძველი აღთქმის ისტორიის მანძილზე არაფერი დამატებია და არც მოკლებია, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ზნეობრივი არსი უცვლელია. უცვლელადვე გადმოდის ათივე ცნება ახალ აღთქმაში. რა სიახლე უნდა შემოსულიყო ადამიანის ბუნებაში, რომ გაუქმებულიყო ერთი მათგანი, ან თუნდაც ერთი მცნების დამატება გამხდარიყო აუცილებელი. ღმერთი რასაც ქმნის, ერთხელ ქმნის. ადამიანი შეიქმნა ერთხელ, როგორც უნდა შექმნილიყო. და მისი სრულყოფილების პირობა ამ მცნებათა აღსრულებაშია.

ათი მცნება ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ოთხი ადამიანს განსაზღვრავს, როგორც რელიგიურ არსებას. ეს კვარცხლობეკია მცნებათა ან, შესაძლოა, მწვერვალი, რომელიც ცისკენ არის მიქცეული. მომდევნო ექვსი, ამ კვარცხლობეკზე დაშენებული, ადამიანთა სიმრავლეს აქცევს საზოგადოებად.

მცნება პირველი:  
„მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც ბამოზიპჰანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, მონოზის სახლიდან. არ იპოლიოთ სხვა ღმერთები ჩემს საპირისპიროდ.“

პირველად კაცობრიობის ისტორიაში ამ სიტყვებით იქნა დადასტურებული რწმენა მართი ღმერთისადმი, რომელიც ჭეშმარიტ ღმერთად იქნა შეცნობილი, სრულყოფილი სარწმუნოება მიიღო და აღიარა ეგვიპტიდან გამოსულმა, თუმცა მრავალრიცხოვანმა, მაგრამ კულტურულად უჩინო ხალხმა. როგორც ჩანს, კულტურული დაწინაურება,

ცივილიზაციის გზები, არ თანხვდება რელიგიურ აღმავლობას. ის, რაც არ მომხდარა შუმერის, ბაბილონის, ასურეთის თუ ეგვიპტის საზოგადოებების შეგნებაში, განხორციელდა იმ ხალხის ცნობიერებაში, რომელმაც ესაა თავი დააღწია ფიზიკურ და ზნეობრივ ტყვეობას.

ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი ჯერ ამ ხალხის წინაპარს გამოეცხადა, როცა ის წინაპარი პოლითეისტური ქვეყნიდან გამოჰყავდა, რათა გაერიდებინა მისგან. აბრაამს მან დაავადებინა ქალდეველთა ური — ფუფუნებიანი, ცივილიზებული ქვეყანა, ურბანისტული სახელმწიფო, რათა უდაბნოში დაეტოვებინა მარტოდ მარტო, რომ სიმარტოვეში ერთ ღმერთთან, სამყაროს შემოქმედთან სიახლოვე განეცადა. აბრაამმა იწამა მისი ძახილი და ამისთვის რწმენის მამად შეირაცხა. აბრაამ შვა ისაკ, ისაკ შვა იაკობ. ხოლო იაკობმა თორმეტი ვაჟი და ერთი ასული, და ეწოდა სახელად ისრაელი. ისრაელი თავისი მონაგრით ჩავიდა ეგვიპტეს შიმშილისგან თავის გადასარჩენად და რამდენიმე საუკუნის შემდეგ მისი თორმეტი ძისგან მრავალრიცხოვანი ხალხი წარმოიშვა. მართალია, აღსრულდა ღვთის მიერ აბრაამისთვის დადებული აღთქმა, რომ „მრავლის მამა“ (აბრაამი) შეიქნებოდა და მისი თესლით მთელი ქვეყნის ხალხი იკურთხებოდა. მაგრამ ამ სიმრავლეში, რამაც ფარაონი და მთელი ეგვიპტე შეაშინა, მიიწავლა ხსოვნა ერთი ღმერთისა, რომელიც მათ მამამთავარს გამოეცხადა პირველად. ხალხის სხეული კი გადაჩა ეგვიპტეში, მაგრამ ღვთის სული, რომელიც მათი მამა-პაპის (აბრაამის, ისაკის და იაკობის) კარგებში ტრიალებდა, მათ განშორებოდათ. ისინი განწირულნი იყვნენ ეგვიპტურ ფუფუნებასა და კერპთაყვანის-მცემლობაში დასაღუპად. ხორცი ლაღდებოდა, სული კვდებოდა. ეს მათი დღევანდელი ეგვიპტე იმ ქალდეველთა ურის გამოძახება თუ იყო უხსოვარი წარსულიდან. იმ ქალდეველთა ურიდან თუ ერთი კაცი გამოვიდა, რათა სულიერად გადარჩენილიყო. მეორე გამოსულა ეგვიპტიდან მთელი ხალხის

სულის გადასარჩენად უნდა მომხდარიყო. ეგვიპტეში ყოფნის მთელი ხანი ბნელით არის მოცული. ბიბლია ღუმს იმ ორ საუკუნეზე, რომლის განმავლობაში ალბათ სხვა არაფერი ხდებოდა, გარდა ხალხის რიცხოზობრივი ზრდისა. ამიტომაც ამ დროის განმავლობას ისტორია ვერ დაერქმევა. ეს იყო „ბიოლოგიური“ ხანა ხალხის ცხოვრებაში, როდესაც შესაქმის დასაწყისში უფსკრულის წყლებზე მიმომქცევეარი ღვთის სული „დაბუღრებული“ იყო ხალხის სხეულზე და ნაყოფიერს ხდიდა მას, რათა მარტოსულად მოხეტიალე კაცთან დადებული აღთქმა აღსრულებულიყო. ეს მღუშმარებაში ხდებოდა და ღუმს ბიბლიაც.

ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ მონოთეისტური რელიგია შედარებით გვიანდელი, მეორეული მოვლენაა და იგი პოლითეიზმიდან წარმოიშვა ადამიანის რელიგიური ცნობიერების ევოლუციური განვითარების გზით. თითქოს დროთა მანძილზე ადამიანის შეგნებაში თანდათანობით დაიკვირლა ღმერთების სიმრავლე და ადამიანი მივიდა ერთი ღმერთის რწმენამდე. თითქოს მრავალი სიცრუის ჯამმა შეიძლება ოდესმე, თუნდაც მილიარდმა საუკუნემ განვლოს, მოგვეცეს ერთი ჭეშმარიტება. წმიდა წერილი კი გვაუწყებს, რომ რწმენა ერთი ღმერთისადმი თავდაპირველი რელიგიაა და მხოლოდ ადამიანის ცნობიერების დაცემის შემდეგ წარმოიშვა მრავალღმერთიანობა. სამოთხეში მყოფი ადამი ქვრეტდა. ესაუბრებოდა ერთ ღმერთს, სამყაროს შემოქმედს, რომელიც მისი შემქმნელიც იყო და ეს ცოდნა თანდაყოლილი ჰქონდა ადამს. სამოთხის გარეთ თანდათან დაიკარგა ეს ცოდნა: დაიმსხვრა ის ერთიანი სარკე, რომელიც ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ნამდვილ სახეს აჩვენებდა. ბუნების პატრონად შექმნილი ადამიანი დაემორჩილა ბუნების ძალებს და გააღმერთა ისინი.

ძველი აღთქმის თანახმად, აბრაამი იყო ის კაცი, რომელსაც პირველად გამოეცხადა სამყაროს შემოქმედი, მის რელიგიურ ცნობიერებაში პირველად აღდგა თავდაპირველი მონოთეიზმი და ის

არსებობდა პოლითეიზმის მჭიდრო გარემოცვაში. მის წიაღში „ჩამოვარდა“ მხოლოდ, მის ნიადაგზე არ აღმოცენებულა. როგორც ღმერთმა შექმნა სამყარო არაარაობიდან სიტყვის გამოცხადებით, ასევე მოულოდნელად, რაიმე მიზეზის გარეშე, გამოეცხადა აბრაამს ღმერთი, რომელიც არ ჰგავდა არც ერთ სხვა ღმერთს მის გარემოცვაში. აბრაამის, ისაკისა და იაკობის შეგნებაში ცოცხლობდა ჭეშმარიტი ღმერთის იდეა, მაგრამ არა გენეტიკურად გადამავალი მამიდან შვილზე, არამედ ხელახალი გამოცხადებების წყალობით ყოველ თაობაში. ასე ისაკს გამოეცხადა და უთხრა: „მე ვარ აბრაამის, მამაშენის ღმერთი, ნუ გეშინია...“ (დაბ.26, 24). იაკობი, იგივე ისრაელი, აღიარებდა თავისი მამა-პაპის ღმერთს, რომელიც მასაც გამოეცხადა პიროვნულად - „ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა“. მრავალი ხნის შემდეგ მოსე იყო პირველი ისრაელიანთა შორის, რომელსაც ხელახლა, პიროვნულად გამოეცხადა შორეული მამა-პაპის ღმერთი: „მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი“ და გაახსენა აღთქმა, და დაავალა ხალხის გამოყვანა ეგვიპტიდან. მოსეს სულიერ ცხოვრებაში ეს იყო „ნახტომი“: ის არ ელოდა არც ამ გამოცხადებას და, მით უფრო, ამ მისიას. მოსე სისხლით ისრაელიანი იყო; მაგრამ ფარაონის კარზე იყო აღზრდილი და საკუთარ ხალხის მიმართ გაუცხოებულიც კი იყო. იმ უმადურობის შემდეგ კი, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს მისმა თვისტომებმა, მოსემ მიატოვა ეგვიპტე და დამკვიდრდა უდაბნოში, რომ კვლავაც უკან აღარ დაბრუნებულყო. მის თვალში ეს ხალხი მხოლოდ ბრბო იყო, ახლა კი მას უნდა გაეხსენებინა მათთვის მათი მამამთავრების ღმერთი - „ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა, ღმერთი იაკობისა“, აღედგინა მათ წრეში მისდამი თაყვანისცემა. შეექმნა მათგან არა უბრალოდ ერი, არამედ რელიგიური ერი, რომლის ცნობიერებას უნდა მოეცვა უხილავი ერთი ღმერთის იდეა. ამას გულისხმობდა ეგვიპტიდან გამოყვანა. რადგან ეგვიპტე იყო არა მხოლოდ

„მონობის სახლი“, არამედ მრავალღმერთიანობის ქვეყანა. სადაც საბოლოოდ ჩაკვდებოდა ჭეშმარიტი ღმერთის რწმენის მცირე ნაპერწკალიც კი, თუ კიდევ სადმე იყო შემორჩენილი.

ერთადერთი მოსეა მთელ ამ ხალხში, რომელიც ფლობს ჭეშმარიტი ღმერთის საიდუმლოს და მის არსობით სახელს — „მე ვარ, რომელი ვარ“, — რაც მას აბრაამისთვის არ გამოუცხადებია. ეს სახელი ამხელს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტად არსებული ეს მმ-ა, რომლის არსებობის მიზეზი თავად მასშივეა. გაუჩენელი, უპირობო, უსაფუძვლო ანუ საკუთარი თავის თვითვე მასაფუძვლებელი ღმერთი გამოცხადდა მოსეს. ამგვარი ღვთისშემეცნებით უნდა გამოზარდოს მოსემ ეს ხალხი და შექმნას მისგან რჩეული ერი; ყველა სხვა ხალხისგან განსხვავებული. ისეთივე ერთადერთი და განუმეორებელი, როგორც ეს ღმერთია. „აჰა, ცხოვრობს ერთი განმარტოებით და სხვა ხალხებში არ ირიცხება“ (წ.რიცხვთა 23,9). აბრაამმა ფიზიკურად, თავისი საზარდულიდან, შვა ერი, მოსემ კი სულიერად აღზარდა იგი უდაბნოში, რათა ჭეშმარიტი ღმერთის სახელი მათ შორის დამკვიდრებულიყო.

მცნება მეორე:

„არ ბაიკაითო კერკაბი, არც რაიმი ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, რაც არის დაბლა მიწაზე და რაც არის წყალში, მიწაზე დაბლა, არ სცე თაყვანი მათ და არ მმსახურო.“

ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, სრულყოფილი არსება, არა მხოლოდ ერთადერთია, რასაც პირველი მცნებებ აცხადებს, არამედ ტრანსცენდენტურიც არის, ანუ განყენებულია თავისი შექმნილი სამყაროს მიმართ. ამიტომაც, წარმოუდგენელია, რომ იგი რაიმე არსებული კონკრეტული საგნითა თუ მოვლენით გამოისახოს. რა სახე შეიძლება ჰქონდეს მართაღმერთს? ის პრინციპულად გამოუსახველია და, როგორც, რუსთაველი ამბობს, „უსახობა“, არაფერს არ ჰგავს შექმნილ სამყაროში. ღმერთი არ არის ადამიანი, რომ ჰქონდეს სახე და იყოს რაიმეს ხატი; ის სულისა და


მისი, როგორც უხილავის, წარმოდგენა ხილულად, ამცირებს მის ღირსებას, ათანაბრებს რა მას ხილულ სამყაროსთან. თუმცა ამ დროს ადამიანის შეგნება ეცემა და არა ღვთის მარადიული, უცვლელბელი ღირსება.

მართალია, მოსეს უფალი გამოცხადდა ცეცხლში სინაის მთაზე, მაგრამ ღმერთი არ არის ცეცხლი და არ გამოისახება ცეცხლის სახით; ათი მცნების გამოცხადებისას ღვთის სიტყვა ისმოდა ელვასა და ჭეჭა-ჭუხილში, მაგრამ ღმერთი არ იხილვება ბუნების მოვლენებში. ელია წინასწარმეტყველის წინაშე, როგორც მოგვითხრობს ბიბლია, ჩაიარა უფალმა და ამოვარდა ძლიერი ქარი, მაგრამ ქარში არ იყო უფალი; იძრა მიწა, მაგრამ მიწისძვრაში არ იყო უფალი; ამოვარდა ცეცხლი. მაგრამ არც ცეცხლში იყო უფალი (მესამე მეფ. 19, 11-12).

ამგვარი ღვთისმეტყველური შეგნებით ისრაელიანთა ტომი საბოლოოდ უნდა განშორებოდა არა მხოლოდ ეგვიპტეს, რომელსაც ფიზიკურად დააღწია თავი, არამედ წინასწარ გამიჯვროდა კერბთაყვანისმცემელ ქანაანელ ტომებს, მათ შორის თავის „ბიძაშვილებსაც“, რომელთა ქვეყანაშიც შედიოდა დასამკვიდრებლად.

მაგრამ ეს გარდასაქმნელი ხალხი ჯიუტი და ქედდციხელი იყო, იმისთვის, რომ ასე ადვილად მიეტოვებინა კერბები, რომელთა სამსახურს ეგვიპტეში შეეჩვია. მოსემ ერთბაშად, როგორც აბრაამმა, იწამა გამოცხადებული ღმერთი და გაუგონა მის ხმას, მაგრამ ამ ბრბოს აღზრდა-გარდაქმნა ჭეშმარიტი ღმერთის აღმსარებელ ერად დროის განმავლობაში უნდა მომხდარიყო. ხალხმა მოისმინა თავისი ყურებით სიტყვები მეორე მცნებისა, მაგრამ მათ თვალს მიეფარა თუ არა მოსე, მოითხოვეს კერბი და აარონმაც, მოსეს უფროსმა ძმამ, მისცა მათ „ოქროს ხბო“ თაყვანისცემად და მის გარშემო საროველად: აჰა, ხალხო, შენი ღმერთები, ეგვიპტიდან რომ გამოგიყვანეს!

მათთვის ძნელი იყო რწმენა უხილავისა და უფრო ძნელი — უხილავზე დანდობა.



... მარტივად ტაძარი საგანგებოდ შერჩეულ გორაკზე წამომდგარი და სანამ ტაძრამდე მიადევნებდი, კარგა გვარიანი აღმართი უნდა აათავო. სადაც წამოიკითხავს, ამას ჩვენი წინაპრები განგებ აკეთებდნენ, მორწმუნეს ძნელ გზაზე მგტი მოწიწებისა და ღვთისმოსაობის გრძნობა რომ დაუფლებოდაო. ჩამორეცხოდა ამქვეყნიური ქუქუი და ფიქრებითა და აზრითაც განწმენდილს ელოცაო საყდარში.

აღბათ ჩვეულებრივ მოკვდავს არ ძალუძს იმ სილამაზის აღწერა, რასაც აქ იხილავს და შეიგრძნობს.

თვით ტაძარიც ხომ ქართული არქიტექტურის თვალმარაგალიტია. იგი აგებულია მეშვიდე საუკუნეში იმ ადგილზე, სადაც წარმართულ ხანაში მდგარა დიდი ქუჩი (მუხა), რომელსაც თაყვანს სცემდნენ ეგრისელები. გადმოცემით, მუხა ანდრია პირველწოდებულს მოუჭრია და სანაცვლოდ ჭვარი აღუმართავს. შემდგომში ქრისტიანებს დიდი ტაძარი აუგიათ ამ ოდესღაც წარმართული სალოცავის ადგილზე.

შუა საუკუნეებში მარტივი ქრისტიანული კულტურის მძლავრ კერად იქცა მთელ დასავლეთ საქართველოში.

მარტივის მოხერხებული გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა განაპირობებდა აგრეთვე იმას, რომ იგი კონტროლს უწევდა არგვეთიდან კლისურასკენ მიმავალ გზას, ყოველ რიგით მოგზაურს, სახელმწიფო, საფოსტო თუ სხვა სახის ტრანსპორტს.

... მარტივის გალავანზე შემდგარი დიდხანს გადავცქეროდი ჩემს წინ გადაშლილ საუცხოო ხედს. დრო და დრო მხერადაბაბული გავიხედავდი იქითკენ, სადაც ქუთაისი და გელათი შეგულებოდა. სანამ აქეთ გამოვწვავდი, ერთხელ კიდევ მოვიანახულე მოწაშეთა, გელათი და ბაგრატის ტაძარი. რამდენჯერაც არ უნდა ვნახო ბაგრატის ტაძარი, ისევ ისე მიპყრობს განცვიფრებისა და აღტაცების გრძნობა. თურმე ბანის ტაძარი თუ აღმატებოდა მას გრანდიოზულობითა და სიმშვენიერით. და ეს ტაძარი აგებულია მაშინ, მიჰქელ მოდერნიკლის კრებული უკვე გაშვადებული რომ იყო. ხოლო იოანე მინჩხა თავისი სწორუბოვარი საგალობლებით უმაღლეს მწვერვალზე აუყვანა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია.


ერთი თანამედროვე მკვლევარის თქმის არ იყოს: „ეს ის დროა, როცა

ბერი, დღეს ცივილიზებული ერი, ანბანს ქმნის და მწერლობას იწყებს. ჩვენში კი ამ დროისათვის უკვე დასრულებულია იოანე მინჩხის მიერ პირველი ქართული „მარხვანის“, „ნაციონალიზაცია“... დაწერილია მინჩხის 100-ზე მეტი პოეტური შედეგო“. მინჩხის სადაურობის ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, პრეტენდენტი „ინჩხი“ და „ინჩხურა“ აქვეა,


რანდმა ძველი კოლხური მისტრიების ადგილზე ააგო მეორე ათინად და მეორე იერუსალიმად წოდებული აკადემია და დიდი ტაძარი. თავდაც ფიზიკურად მონაწილეობდა თურმე მშენებლობაში. თავის ზურგით მოუტანია უზარმაზარი ქვა, რომლის აწევა მხოლოდ გოლიათს თუ შეეძლო, მაგრამ დავითმა იგი ადვილად აზიდა...

აღბათ როგორი მკვეთრი და მძაფრი იყო ეს შეგრძნება ძველად, როცა კომუნიკაციის შესაძლებლობა ასე შეზღუდული იყო.

ქუჩაში მხედვებთან პირმშვენიერი ყმაწვილები. აქაურ მკვიდრთ მტწილად ღია, თეთრი კანი აქვთ, ცისფერი, თაფლისფერი თვალები, „იშვით შავგვრემან“ როგორც ვახუშტი ამბობს ხოლმე.



ციალა არღაშმელია



ნაწუხებითი წიგნიდან

საქყონდილოში.

გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან ისეთ სურათს შევეცნარი, რამაც საოცრად ამაღელვა და აგერ რა ხანია, გონებიდან არ მშორდება.

... ქარი ანთებულ -სანთლებს აქრობდა და მაინც ყოველი ჩვენთაგანი ჭიუტად ცდილობდა როგორმე აენთო ისინი. ანაზღად თვალი ვკიდე ახალგაზრდა კაცს, ორი მატარა გოგობიისთვის რომ ხელი ჩაეკიდა და შორი ახლოს შეჩერებულყო. შემდეგ მან ბავშვები წინ დაიყენა. დაიხარა და უთხრა:

— იცოდეთ: აქ დაკრძალულია ყველაზე დიდი ქართველი!

ხმადაბლა იყო ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ მე მაინც გაუგონე ისინი.

ერთხანს იდგნენ სამთავენი მღუმარედ, სანთლებით ხელში, მერე გატრიალდნენ და წავიდნენ.

გელათი გადმოცემით, წმინდა გრაალის

გენათი ანუ ადგილი, სადაც მოხდა ნათლობა, ადგილი, რომელიც განათდა ღვთისადმი რწმენით და სიყვარულით.

გელათის გარშემო ვეცა გალავნისა და სასახლის ნაშთია, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ლაზურ სახელს „ოზორეს“ ეძახიან თურმე და რომელიც ჭერაც არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ვარაუდით, იგი მესამე თუ მეორე ათასწლეულის მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. დავით აღმაშენებელმა, ცხადია, უკეთ უწყოდა რა ადგილას აშენებდა თავის დიდებულ ტაძარს და სად უნდა დაკრძალულიყო თავად!

... მარტივში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მოწვევტილი ვიყავი დანარჩენ სამყაროს, თითქოს აღარც არსებობდა სადმე ქალაქის ხმაური. საოცრად მშვიდი, წყნარი, უცნაურობამდე მყუდრო ჩანდა აქ ყველაფერი. ასე მეგონა, აქედან უსაზღვროდ შორს არის არამცთუ თბილისი, არამედ სოხუმიც, გალიც—

ტანაშოლტილი, ლამაზი გოგონები და ბიჭები თავისი რასის უტყუარ ნიშანს ატარებენ. ამ თემაზე პროფ. პარმენ ზაქარაისთანაც მქონდა საუბარი პროფ. ზაქარაიაც იმ აზრის არის, რომ აქაურებმა ასე თუ ისე, შეინარჩუნეს თავისი უძველესი წინაპრების საქვეყნოდ განთქმული გარეგნული იერსახე. ამავე შეხედულების არის მეცნიერება, კერძოდ, ანთროპოლოგია. პროფ. მ. აბღუშელიშვილის გამოკვლევით, ამ რეგიონში უცვლელია თავის ქალის ანთროპოლოგიური ტიპი.

საოცარი კია, რომ ძირითადად შემოინახა კოლხთა ტიპები. თავი რომ გავანებოთ განუწყვეტელ ომებს, რბევა-წიოკობას საუკუნეების განმავლობაში, ეს მხარე თითქმის სამოთხი საუკუნის განმავლობაში იცლებოდა ულამაზესი გოგობიებისაგან. გარდა იმისა, რომ თურქები და სხვანი იტაცებდნენ, თვით ადგილობრივი მკვიდრნიც იჩენდნენ

„ინიციატივას“ და აწაღებდნენ ვაჭრობას ადამიანებით... არჩევდნენ სწორედ ლაშაზებს და ჭანსალებს, რომ უფრო სარგებანიდ გაეყიდათ და მეტი მოგება ენახათ. ვინ იცის, შაჰებს და სულთნებს ფეშქაშად რამდენი ულაშაზები ქალ-ვაჭი ეგზავნებოდათ ყოველწლიურად. „ამოცანად დარჩა, როგორ შერჩა ქართველ ტომს ასეთი შნო და მიშვიდელობა. ეს შეიძლება მართლაც გასაკვირალი იყოს. ჩვენ ხომ მთელი საუკუნეების განმავლობაში უსაშინლეს ხარკს ვაძლევდით სპარსეთის შაჰს და ოსმალეთის ხონთქარს... ჩვენმა ლაშაზმა ქალ-ვაჭებმა გააკეთეს უზომო წინა აზრის დაბალხარისხიანი რასები. ჩვენ კი თუმცა დავძაბუნდით და დავვეყიეთ, სავსებით მაინც არ დავიკარგავს სხეულის ელასტიური ძალა“, — გერონტი ქიქოძის ეს სიტყვები ძალაუფლებურად მაგონდება ახლა, როცა ამ მშვენიერ გოგონებსა და ბიჭებს ვუყურებდი.

მოვიდა მეცხრამეტე საუკუნე, რომელმაც მოიტანა მშვიდობა და მოსოთ ეს საშინელი სენი, მაგრამ უფრო „ცივილიზებული“ დამპყრობელი უკვე სხვა ტაქტიკას მიმართავდა ადგილობრივ მკვიდრთა გადასავარებად და გადასაჩუქებლად. მოსახლეობის აკრეფება ან მასიური აურა და გადასახლება აი, მთავარი ხერხი და საშუალება ახალი დამპყრობელისთვის.

„გვირახის კიბით ჩვენი ტყუარის ნაპირზე; გაღმა, ხიდზე, ბავშვები ურთიკობდნენ, ზოგი მდინარეში ბანაობდა. ტყურა აქ ძალიან ღრმა და მომწვანო-მოლურჯო ფერი დაჰკრავს მის ტალღებს.

ჩვეუკერი მდინარის მდორე, ზანტ ტალღებს და გონებით ვცდილობ იმ ტრაგედიის წარმოდგენას, აქ რომ დატრიალდა VIII საუკუნის დასაწყისში... ტრაგედიის, რომელმაც ეგრისის უძველესი დედაქალაქი, მასთან ერთად მთელი ქვეყანაც, წილში გაწყვიტა და მიწასთან გაასწორა... და ეს მოხდა მერამდენედ!

...ნოქალაქების ციხე-სიმაგრის შემოსახლელებს ბქესთან არქეოლოგებმა იპოვეს თავგანთილი, ისარგებლებული კოლხის ჩონჩხი.

ყო თვისთვის — ქვეყნის პატარა უფროსი შეუფუძელი პატარა სამეფო, მცირე-რიცხოვანი ერთი — ხანდა, თესვდა, საქონელს მწყეშავდა, მდგროდა თვისებურ ხედიან, ხანაც ომახიან სიმღერებს, ქმნიდა, აშენებდა, ლოცულობდა — ჭქონდა

მრავალი ტაძარი — ქრისტიანული კულტურის კერები, გააჩნდა აკადემია, მუზეუმის ტაძარს რომ ეძახდნენ, სადაც ადამიანის სიყვარულს, მშვენიერებისა და სილამაზის სიყვარულს ასწავლიდნენ. მომხდურებს ვაჭაკაურად უხვდებოდნენ, იგრებიდნენ ურიცხვ მტრებს დასაბამიდან, გაჩენის დღიდან, მაგრამ ვეღარ მოიგრიეს. ერთხელ კიდევ სძლია ბოროტმა კეთილს და მშვენიერს, ბნელმა - სინათლეს. უკვე მერამდენედ.

შავი მხედრიონებით ქაჭთა უთვალავი ლაშქარი, შეესია ამ მზიურ ველ-მინდვრებს - მზის შვილთა შთამომავლებს, - შავი დელგმა, წარღვნა და მებთატება დაატყდა თავს. წინ ვეღარაფერი დაუდგა: მურვან ყრუს ლაშქარს, ვეღარც ციხე-სიმაგრე და ვეღარც სტიქიონი გადათელეს და გადატყვებეს, მიწასთან გაასწორეს, ირგვლივ ყველაფერი - რასაც კი მიწვდა მსახვრალთა ხელი. კაცობრიობის მთელი ისტორიაც ხომ სისხლიანი ომების, რბევის, ხოცვა-ჟლეტის, ფიზიკურად ძლიერის და მრავალრიცხოვანის მიერ უფრო სუსტის, მაგრამ მშვენიერის ძლიერა, ადამიანში, ღვთის მიერ გაჩენილში, მტაცებლური ბუნების აღწევება, სისასტიკისა და სიძულვილის თესვა და მძლავრებაა. მხოლოდ აქა-იქ, ვით ოაზისი უდაბნოში — გამოანათებს სიკეთე, მზიანი ნათელი, მაგრამ რა ხანმოკლე და დღენაკლულია იგი იმ დაუსრულებელ სისხლიან მარულაში, ისტორიას რომ გაუმართავს!

...გალის რაიონში, ანუ ძველ სამურზაყანოში რომ შედიხარ პირველი, რაც თვალში გეცემა, ესაა ბორცვზე აღმართული სათანჯოს ციხის ნანგრევები, ქვევით, საბერიოს შესახვევში კი — ოცარცეს ციხის ნაშთი. ძველად თურმე ციხიდან ციხეს გადაეცემოდა უბედურების მალეუბნელები სიგნალი-ცაში ავარნილი ცეცხლის ალი. ანაკლის ციხე-სიმაგრე გვირგვინი იყო იმ აუბედითობისა: ზღვის ამ უფრედან ვაჭავდათ მოტა-ცებულები ტყვეები (რკია მგერ, ნიშნავს კვილს, ანარკია - ანუ ნაწიში რკია — დედის კვილი — ასე ხსენის ხალხური ეტიმოლოგია ამ სიტყვას) — გამწარებული დედის კვილი მიაცილებდა ამ გოვო-ბიჭებს თურქეთის ბაზრებისკენ.

პირველივე სოფელი ქუბურჩინჯი - წაბლის ზე - საინტერესოა თავისი სახელწოდებითაც. მთელ საქართველოში ტრადიციული იყო

მცენარეთა სახელების შერქმევა ადგილობრივობისთვის: რკონი, მუნ-ნარი, მუხათგვერდი, ცხინვალი, თელანიდან - თელავი და მრავალი სხვა - აღმოსავლეთ საქართველოში, ქუონდიდი, ფიქვინა - დღევანდელი ბიჭვინთა, სოჭი, ბზიფი - ბზიდან, ცხუმში (მგერ, სვანურად რცხილიანს რომ ნიშნავს, სვანეთში დღესაც არის სოფელი ცხუმარი, ხოლო მგერულად ცხიმური რცხილას ნიშნავს), ხუმ-უშქური - წიფელთა - წებელდა, ა-ქანდარა და ა.შ. - დასავლეთ საქართველოში); ქუბურჩინჯის ხელმარცხნივ, ბორცვზე მდებარეობს სოფელი დიხაზურა (ზურგ გვხვდება ო-ზურგ-ეთში, ზურგ-დიდშიც, ზურგ - ამაღლებულ, ბორცვიან ადგილს უნდა ნიშნავდეს. ხელმარცხნივ ისტორიული მნიშვნელობის სოფლებია: თაგილონი, ნაბაკევი, ოტობაია... თაგილონსა და ნაბაკეს შორის უნდა იყოს საგულეებელი წიფურია. (წიფური მგერულად წიფელს ნიშნავს) - მე-XVII საუკ. კულტურის კერა ოდიშში. აქ მოღვაწეობდნენ კათოლიკე-მისიონერები: არქანჯელო ლამბერტი, დონ ჭუხუბე ჭუდიჩი, უფრო გვიან ქრისტეფორე კასტელი, დონ მარი ძოხუფ ძაბა ია და სხვ. წიფურას მისიონე აღწერა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმაც. კასტელიმ ოცი წელი დაჰყო საქართველოში და შექმნა უსწარმავარი აღბოში „მთელი კოლხეთის (ანუ დღევანდელი სამგერელოს აღწერილობა) მდინარე კორაქსიდან (კოლორიდან) მოკიდებული ფასისამდე - რიონამდე), შუადგინა რუკა, ზოლო არქანჯელო ლამბერტის მიერ დაწერილი წიგნი „წმინდა კოლხიდა“, სამწუხაროდ, დღესაც არ არის თარგმნილი ქართულად. დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩოლოუაშვილ-ირბახს წიფურას მისიონის დაარსებაში.

გალი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე გოგიელის სახელწოდებით.

გალის რაიონის ტერიტორიაზე - ყოფილ სამურზაყანოში - არის სოფელი გუდავა - შუასაუკუნეებში აქ იყო საეპისკოპოსო კათედრალი. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე იგი ზიგანის ციხე-სიმაგრედ მოიხსენიება. გვიან ანტიკური ხანისა და ადრინდელი შუასაუკუნეების გუდავა-ქალაქის ტიპის დასახლება - ცნობილი ზიგანისის სახელწოდებით.

IV-V საუკუნეების მიჯნაზე აქ რომაელთა კოჰორტები მდგარა.

VII-X სს.ლაზიკის ოთხი

საეპისკოპოსო კათედრალიდან ერთ-ერთი იყო გუდავაში, ახლა აქ წაშლილა ყოველივე კვალი ეკლესიისა. ასევე სანტერესოა სოფელი წარჩე, რომელშიც ნანგრევებია შემორჩენილი IV-VII საუკ. ციხისა. ზღვისპირა ' ფიჩორიში რამდენიმე წელია მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ატარებს ივ.ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. არქეოლოგიურ ექსპედიციას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს მალხაზ ბარამიძე.

ფიჩორის დიხაგუბუბები მოიცავს დაახლოებით რვა-ცხრა ჭექტარ ფართობს. ამ კომპლექსში გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი, როგორც ჩანს აქ, ბორცვზე პატარა დასახლება იყო, რომელიც თანდათან ითვისებდა მიმდებარე ტერიტორიებს.


გათხრების დროს გამოიყო რვა კულტურული ფენა, ყველაზე ადრეული ფენა 23-22-ე საუკუნისაა ჩწ-არტიცხვამდე. ამ დიხაგუბუბებში შეინიშნება ცხოვრების უწყვეტი კვალი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე. ასეთი დასახლებების შექმნას განაპირობებდა ქაოტების არსებობა. როგორც თვით დასახლების მიგნით, ისე მეზობლად მდებარე დასახლებას შორის კავშირი ხორციელ-დებოდა არხების მეშვეობით (კოლხეთის არხებზე საინტერესო ცნობას გვაწვდის მედიცინის მამა ჰიპოკრატე).

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ფიჩორის დასახლების არხები უერთდებოდა გაგიდის წყალმდინარეს. აქვე ახლოს არის სოფელი ნაკარდალი (ნა-კარ-დალი, ანუ სადაც კარ-მიდამო და ღელე იყო).

ფიჩორის კომპლექსში წარმოდგენილია როგორც ადრე ბრინჯაოს მიწურულის, ისე შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნივთები. ასეთი უწყვეტი განვითარების ჩაკეტი სხვაგან კოლხეთის ტერიტორიაზე არსად გვხვდება.

გათხრების შედეგად ნაპოვნია პროტოკოლხური კერამიკა და რაც მთავარია — აღმოჩენილია უნიკალური ნის სახსნისი - ჩწ-ალ-მდე 23 საუკუნისა; მსგავსი რამ არ დასტურდება არსად სხვაგან. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა უძველესი მიწათმოქმედების მხარეა და რომ აქ, უხსოვარ დროში მისდევდნენ მიწის დამუშავებას.

ნაპოვნია აგრეთვე სხვადასხვა ნივთების: ცულის, სატვრის, თოხების



თიბურაზ ჭანტურიშვილი

მომხრ რცხილამ

პირველად თიბურაზ ჭანტურიშვილის სახელი ჩემთვის ცნობილი გახდა 70-იანი წლების დასაწყისში, როგორც პოლიტპატიმრისა. გარკვეული სიამაყით ვკითხულობდი იმდროინდელ „მომხრე“ ანუ „ქრისტიანული“ რუსულ ენაზე, სადაც იბეჭდებოდა ცნობები პოლიტპატიმართა შესახებ და საიდანაც შევიტყვევე, რომ შორდოვეთის და შემდეგ პერმის ბანაკებში სასიკვდილო შიმშილობებში ბალტიისპირელებისა და უკრაინელების გვერდით მონაწილეობა ღებულობდა ერთადერთი ქართველი - თ.ჭანტურიშვილი, შემდგომ, ბანაკში დაწერილი მისი ვრცელი ლექსი დაიბეჭდა ჩვენს „ოქროს საწილში“. შემდგომ, როდესაც მან სრული ექვსი წელი დაჰყო ბანაკებში, იგი თბილისშიაც ეიხლუ და დაუპეგობრდი, მაგრამ მისი გაგება და დაფასება მხოლოდ მაშინ შევიძლეს სრულად, როდესაც შემდგომში თვით გაეხდი პოლიტპატიმარი - როგორც იტყვიან, თავად თუ არ იტანჯუ, სხვისას ვერ გაიგებ.

რაც შეეხება თ.ჭანტურიშვილის შემოქმედებას, იგი ჩემი აზრით, გარკვეული სულიერი არისტოკრატიზმის ნიშნებია. პირველი, ვინც ხელი გაუწოდა გადასახლებიდან დაბრუნებულ თ.ჭანტურიშვილს, გახლდათ ბ.ნი ჯანსუღი ჩარკვიანი, რომელმაც 1976 წელს თავის ჟურნალში დაიბეჭდა თ.ჭანტურიშვილის „მინიატურა“. 1984 წელს უკვე მის პიესას „ვინ ვინ არის“ ღვამს ჩვენს მუსიკალური კომედიის თეატრი, ხოლო საბავშვო თეატრი „თეთრი ცხენი“ ღვამს მის მუსიკალურ პიესას „ტყეში ნუ დაიარებ“, რომელიც წარმატებით იღებება აშშ-ს ექვს ქალაქში.

აქამდე მკითხველი გასაგები მიზეზების გამო არ იცნობდა თ.ჭანტურიშვილის ბიოგრაფიას. ესეც კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა მოკრძალებული უნდა იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც არ იყვედრება, რომ იგი უკვე „მარშანის“ ეროვნულ მოძრაობაში იმყოფებოდა! ასეთივე უპრეტენსიო თ.ჭანტურიშვილის შემოქმედებაც, რომელიც, როგორც ვთქვით, ღიბი სულიერების მატარებელია.

მიეზლო დუშმანს თავის ულუფა,  
ადრე მხნედ იყო, ახლა ხედ არი.  
სხვას რომ უჭირდა, ახლა ამ ყულუფმა  
ხეზე დაჭიდა მისი ცხედარი.  
ყველა მას იმის, რაც უთესია,  
რაცა აქვს ქვეყნად ნამოქმედარი.

გადაუღებელ ავდრების შემდეგ  
გამოიდარა და ვნახე დარი —  
ასე მგონია, მწვერვალზე შევდექე,  
ცად ავმალდი და ღმერთებს ვედარი!  
ბედმა ღიბილით მეც გადმოხედა  
და გამარჯვებაც, ვხედავ, ზედ არი.

მადლობელი ვარ მე ჩემი ღმერთის,  
კურთხეულ იყოს მალლით ზენარი —  
კაცი და ღმერთი როცა ერთი,  
ვაჟაკია და მუდამ მხნედ არი  
ათას ჭირ-ვარამ-გადანახადი  
ამბოხებული სულის მხედარი!

მეც ვშიშობილობდი  
ჩემს ძალღთან ერთად —  
იყო სიამე  
და იყო ღმერთი.  
მე გამოვძეხი —  
მშიერმა ძალღმა  
დამიყვია და  
დამიწყო ღრენა.

უტყვი გაქვს სახე, თვალები — ცივი,  
და გულიც — ცივი, ვით ცხელი ტყვია;  
ქანდაკება ხარ, თუ მართლა ღიბის  
სიცოცხლე შენში — ვერ შემიტყვია.

შენმა თვალებმა დამიყენა თვალი მზექალაო,  
გადამაცდინა სწორი გზიდან, მხარი მიქცია,  
მაგრამ არ ვნანობ, მინდა მუდამ ასე მაწვალო,  
დამწვა, დამდაგო, დამანელო, ჩემო ცირცვალ!

სანაპიროზე ჩავიარე, ვერაფერს ვგრძნობდი,  
ანწდელულად შემომესმა ხმაური მტკვარის,  
რად გამეღიმა, არც კი ვიცი, მაგრამ ვგრძნობდი,  
რა არის ტკბილის სიტკობება, სმწარე მწარის —  
და განმეორდა ერთხელ უკვე განცდილი წამის!

დასამზა-დებელი ყალიბები მე-2  
ათასწლ. მერე ნახევრისა, ჩ.წ.ალ-მდე.  
გათხრები გრძელდება და ვინ იცის,  
კიდევ რა აღმოჩენები ელოდება  
ექსპედიციას, რას გამოამწეურებს  
არქეოლოგის წერაქვი და რა ახალი  
ფურცელი გადაიშლება ჩვენი  
ისტორიისა!

გალისა და ოჩამჩირის რაიონების  
საზღვარზეა სახელგანთქმული ბედიის  
ტაძარი.

„ვისაც გენებოს განიცადოს  
სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა,  
განხილეთ ბედიის ეკლესია და მით  
სცნობ“-ო, გვაუწყებს „ქართლის

ცხოვრება“. ჩემს ბავშვობაში კი ასეთი  
გადმოცემა გამოგია ტაძრის აშენების  
თაობაზე: გაერთიანე-ბული  
საქართველოს დიდი მეფე ბაგრატ III  
თავისი მხლებლებ-ბითურთ ნადირობდა  
თურმე ოდიშის უღრან ტყეებში  
სახელდობრ, დღევანდელი ბედიის  
სანახებში. და აი, მონადირეებს გზა  
დაეზნათ. ბევრი ხეტიალის შემდეგ იმ  
ადგილზე გამოვიდნენ, სადაც ახლა  
ტაძარი მდებარეობს. აქედან კი უკვე  
ვით ხელისგულზე, ისე მოჩანდა  
კოლხეთის დაბლობი და ზღვა. ერთ-  
ერთმა დიდებულმა მიხარა თურმე  
მეფეს: - ბედი გქონია, მეფეც ბატონო,



გადავრჩითო!

მეფე კარგა ხანს მდგარა  
მღუმარედ, ჩაფიქრებულნი. მერე  
უბრძანებია თავის მხლებლებისთვის: ამ  
აღაგას უნდა აგოს დიდი ეკლესია  
ჩვენი გადარჩენის ნიშნად და მას ბედი  
ეწოდოსო.

მართლაც, სულ მალე აშენდა  
თურმე დიდი საკათედრალო ტაძარი  
— ქართული არქიტექტურის მშვენიერა.  
სიკვდილის წინ ამ მონასტერში ისურვა  
ბაგრატმა დაეკრძალათ მისი გვამი.  
შეუსრულებიათ სურვილი: ბედიის  
მონასტერში დაუსაფლავებიათ. ვით  
გიორგი ქუონდიდელის, მისი

საფლავიც დაიკარგა, დაიკარგა  
სულ აგერ, მეოცე საუკუნის  
პირველ მეოთხედში, იმ დროს,  
როცა მონასტრიდან გამოაჭიწნათ  
უძირფრასესი ფოლიანტები, ჭვრები,  
ხატები და ცეცხლში სწვავდნენ.  
ბაგრატ III-მ საფუძველი ჩაუყარა  
საქართველოს ფეოდალურ მონარქიას.  
იგი პირველი დიდი მეფეა  
გაერთიანებული საქართველოსი, ტაოს  
ბაგრატიონთა შთამომავალი, „ქართ-  
ველთა მეფეებად“ რომ  
იწოდებოდნენ და რომელთაც სათავე  
დაუდეს სახელგანთქმული ბაგრატიონთა  
სამეფო დინასტიას.






პლატონის მონასტრის კედელი



800  
მონასტრის  
კედელი  
საქართველო  
საგარეო საზღვარი







როცა გიორგი ლობჯანიძის ლექსების პირველი წიგნი „ოვლის კვარი“ გამოვიდა, ავტორი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო და გამოცემის გამოცემის ჩასაბარებლად ეწვია დედას. დღეს კი იგი უკვე სტუდენტია: გიორგი ლობჯანიძე უბამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტატზე.

ასე რომ, გიორგის პრეტორიულად უპროცავთ პირველი წიგნის გამოცემასაც, გასტუდენტობასაც და მიითხველს მის ახალ ლექსებს ვითაცაზროთ. აქვე ვაპქდავთ ახატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობას მცირეოდენი შემოკლებით გიორგი ლობჯანიძის პირველი წიგნისათვის.

გიორგი ლობჯანიძე ჯერ მხოლოდ 17 წლისა.


იგი ხაშურის პირველი საშუალო სკოლის მე-11 კლასში სწავლობს. ლექსებს ადრეული ბავშვობიდან წერს. 13 წლის იყო, ერთმანეთი რომ გავიცანით. ლექსები მოიტანა რედაქციაში. მისი ლექსები მაშინ გამოირჩეოდა თავისთავადობით, უშუალობით, შინაგანი დრამატიზმით და არავითარ შედგავის არ საჭიროებდა ავტორის მცირეწლოვანების გამო.

გიორგი ლობჯანიძის პირველი 41 ლექსი „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა 1987 წლის 18 აგვისტოს.

ერთი წლის შემდეგ გაზეთში ისევ დაბეჭდეთ გიორგი ლობჯანიძის ლექსები. მას მერე რამდენიმე წელიწადი გავიდა. გიორგი ჯერ მამით დაობდა, მერე დედითაც. მის ლექსებში

იმატა სევდამ, იმატა დრამატიზმმა, სერიოზულბამ. თითქოს პარადოქსია 15-16 წლის ჭბუკის სიბრძნეზე ლაპარაკი, მაგრამ გიორგის ლექსებში ავტორის განსწავლულობასთან ერთად ჩანს სიბრძნეც — ღვითით მომადლებულიც, წიგნებიდან შეშეცნებულიც, ცხოვრებისეულიც.

ამ წლების განმავლობაში გიორგის ხაშურიდან ყოველ ჩამოსვლაზე მოკონდა ჩემთან ახალი ლექსები. ერთად ვკითხულობდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით და ასე იქმნებოდა ეს კრებული. ჩემი უმცროსი მეგობარი ლექსიდან ლექსამდე იზრდებოდა, ამიტომაც მისი ლექსები წიგნში ქრონოლოგიურად დაეკლაგეთ და თარიღებიც მივეუთითეთ, რომ დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ჰქონდეს, თვალი გააღვენოს პოეტის ზრდას.



გიორგი ლობჯანიძის ეს წიგნი მართლა ობლის კვერთხით ცხვა, ცხვა და როგორც იქნა, იხილა დღის სინათლე. ამას თითქოს არ უნდა ვამბობდე — გიორგის სუთი და ჰყავს და არც გულშემატკივრები აკლია, თანაც 17 წლის ასაკში ცოტა ვინმე თუ მოიწონებს თავს წიგნის გამოცემით — მაგრამ გიორგი ლობჯანიძეს ამ მოცულობის თუ არა, პატარა კრებულის გამოცემა ორი წლის წინათაც შეეძლო, ოთხი წლის წინათაც. თუმცა მე, როგორც გიორგის მეგობარი და კოლეგა, რომელსაც მან იმთავითვე სთხოვა მისი კრებულის შედგენა, რედაქტორობა და მხატვრული გაფორმება, ვფიქრობ, რომ ამით პოეტს არაფერი წაუგია.

აქატა ნაცვლიშვილი.

\*\*

სალამოების ნისლით ნათქორი და დარდით -ცრემლით შენაყურებით — მილიოდი და დამეულ გზებზე მიგაცილებდნენ ბნელი ქუჩები. აგაფარფატებს მორევი შავი, შენ, მოციმიციმე ნათლის ნაფოტო, და ნოემბერთან შეკრული ზავით უსაზმანო და უკალაპოტო დარდი წაგიღებს... იმ ბნელ მხარეში, თქვი, რას ინატრებ ყოველ ცისმარე? ჩვენ სიხარულის ფსკერზე დავეშვით და ავიხდინეთ ასე სიზმარი, რომელიც თუმცა ძალიან ჰგავდა, ჩვენ რომ გვეწადა, იმ უცხოს, ნამდვილს... სჯობდა, რომ ბედი სულ არ გვეცადა, თვითონ მობუზულ ბედურებს ვგავდით... ეს ტირისკონი, ვიცი, გიჟია და გუბების სევდის მოტივი, უფალო, ციდან გადმოგიშვია — შეცოდებების კალაპოტივით, წვიმებისაგან ნამუსახილი... აღარაფერი უგავს ტირისკონს... დღეს ზმანებები ისე ახლოა, რომ თვითმკვლელობა, რომც გაირისკოს, არ გამაკვირვებს, არ გადმეკვრება თვალს შეშფოთების გრძნეული ლიბრი... ნოემბერი კი ცოდვის გუბეში წევს ნაცრისფერი ფოთლების ჭიბრიო.

### მიწა

რატომ მოხვედი?  
რას გამომჩრები  
იმ ნაცრისფერი დღეების არჩივს,  
როს ჩემი ზამთრის გლუვ სითეთრეში  
თოვლივით ჩუმად გეხვეწე — „დარჩი!“  
კმარა რაც იყო,  
ანდა რაც იყო,  
იყო უფერო, ზანტი და რუხი,  
ვერ დავინახეთ ჩვენ ერთმანეთი,  
ვერ მოვეუფონეთ ერთუერთის წუხილს.  
გზებზე თქორია,  
გზა კი შორია,  
თოვლი ტალახით ანაშმორია...  
ამ ბილიკების მგზავრი ორია,  
მაგრამ ორივე რად არის ცალი?!

ეს ბორკილებიც, ფეხზე რომ მადევს,  
ან ცრემლებს სისხლად ნათხევს და ნადენს  
მოვალ შენამდე და სასჯელივით  
ფეხთან დაგიყრი — განგების ძალით...  
შენი წყალობით, ვარ ყამის მესრე —  
მოკიდებული დღე-ღამის ერქვანს,  
ჟრჟოლამომდები თბილი მიწა ხარ,  
ცა უნდა მხოლოდ შენს თვალებს ერქვას...  
როცა გიყურებ, მინდა, ვიყვირო:  
რადას უდგანან ქვეყნის მხატვრები!  
სად ხარ აქამდე?!  
სად ხარ აქამდე?!  
მსურხარ!  
მიყვარხარ!!  
და მენატრები!!!  
და მაინც, მაინც რატომ მოხვედი?!!

\*\*

მხოლოდ ერთადერთი დარჩა კიდობანი  
ფოთლების ქარებზე გამოკიდებანი,  
ქარის ხეივანებზე გამოკიდებანი, —  
მხოლოდ ერთადერთი დარჩა კიდობანი...

# თხიტიკვლელოვა

## „სევაჩულის“ ნიდაბჟე

მოგხსენებთ, საქმეს თუ აკეთებ, რა გამოლევს და თუ იჩქარებ, მით უფრო საჩქარო და სამუწახო გინდება.

ზურგს უკან რაღაც ქაქანი კი მომესმა, მაგრამ არ მივიჭრია, თუ ვინმე ქუჩაში იმ სიშორიდან მისმობდა, საიდანაც ხმის მიწველნა ჰქონდა. ამ ქაქანში რომ ყვირილი გაერია და ჩემი სახელი მომესმა, მაშინაც ვერ დავიჭერე, ხმაც, ქალისა იყო თუ კაცისა, ვერ გარჩევდი და ამდენად არც მეცნაურა.

ის იყო, უნდა შეგეხვია, რომ ამ ქაქან-ყვირილს ახლა სტვენა დაერთო და სულ აღარაფერ შუაში რომ არ ვიყავი, შეგხვედრბა, ძალიან მაღალმა კაცმა, გრძელი ხელებით მანიშნა: შენ გეძახიან, უკან მიიხედეთ!

მიეტრიალდი. იმ მანძილზე, კარგი ნაცნობის ცნობა რომ გაგიკირდება, ეგება ქალი მოღვაწეობას და ხელებს ჰაერში წონასწორობისათვის იქნევს თუ მე მიქნევს, ესეც ვერ გავარჩიე.

— უჰ, გოგოლა, შეგაჩვენა ღმერთმა. — ნაწყენს გამეღიმა და უკან მივბრუნდი.

— ერთ დღეს გაწყდით ყველა და... — ხმა უწყვეტად, ნარბენი სულს ძლივს იბრუნებს. — გადაშენდით და გადაბარსადლით.

— რა იყო, გოგო! — რაღა დროს გოგოლას გოგოობას! — რა მოგეტლა!

არ ჩამიქცია ნა-ნა-ნაღველა და არ ამოგღვივა გუ-გუ გული. — იმ წინ შემხვედრ ახმახთანაც ერთგვარად ბოღიშობს თუ უხსნის, ქუჩაში ქალისთვის შეუფერებელი საქციელისთვის და ამაში მეც მაღანაშაულებს.

ჩემამდე აღარ მოუღწევია გაზონებში, შეღებლი უნებით შეკოწიწებული ძელსკამი შენიშნა, ტროტუარიდან გადაუხვია და ზედ დაშვავდა. მიახლოებულს ხელი გამომიწოდა. მკლავში ჩამაფრინდა, დამქაზა, თავი დამაბრკინა და ლოყაზე მაკოცა.


— სად გარბიხარო, რომ გარბიხარო. ვინ მოგდევს, ან რა საქმე ჩვენში აეთდება. რომ დაუხაკურობო და დაქინძარობო.

— რა ამბავია, ხომ კარგადა ხარ?! — გოგოლას, მგონი, ბავშვობიდან ვიცნობ. ვიცნობ კი არა, მენათესავება კიდევ. თვეწანებერს წინ დეიდამისის დასაუღლებავზეც ენახე, თმაგაწეწილი ჰირსიუფლად იჯდა, მაგრამ ამნაირი აქოთოთობული არ მასსოვს. წამოთებული სახე შეშფოთებისაგან წითლად დატაცვოდა.

— კარგად ახლა, რომელიმე ჭკუთმყოფელია და კი ამბავი რომ იყოს, ამხელა ქალი ქუჩაში ყვირილ-წივილს და ფუტუნას აფტებდი?!

— ისე, პატარ-პატარა ზედმეტები კი ვიყავარ, ჩემო გოგოლა, — ღიმილით ვუსაყვედურსკავით, თმცა, ეტყობოდა, საქმე სახუმაროდ არ იყო.

— განდაბას ჩემი თავი, უსაშველო რომ გაძიხნდა, შენთან მოვსკვდი. ეგებად ვაგასწორო და შენი ამბავი ხომ ვიცო... ახლა შენ რომ ხარ და მე რომ ბაღნობისა



ამონობა

ობია იოსელიანი

ვიყავი, ის, რომ შემეძლოს, დაწევა მაინც გამიკირდებოდა ვიცოდი, და რა მექნას...

— სახლში აღარ დავბრუნდებოდი?

— რა ვიცი, შენს ასავალ-დასავალს ვინ გაიგებს. ან ერთ აღგიღწე რა დამაჩენს და მომასვენებს.

— რა შიხდა, ამისთანა რა მესი დაგეცა?!

— ელავს კაცს, ე, ჩემი ცოდვით სავსე და იქნება უშველო. მაგის ჭერმა გაუხეტოვა გული დეიდაჩემს, მტკმა კი არათემა. სიკვდილის წინ ამხელა ქალი თოთო ბავშვებით ჩამაბარა, ჩემს მერე პატრონი კი არავინ გაჩნია. იქნება დაჯიჯტროს, შენი დიდი ბატონი აქვს და ჩააოკოხეთო.

— ვის... ვინ ვის ელავს, რა დააშავა, რისი მანქანია, ვიცნობ. მიცნობ? ახლა კაცი კაცს იმედაც აღარ იბნობს.

— ქალა, ქარი ვაუფდა ზღერებში, ნუგეშა კვამზირიებს

— ნუგეშა კვამზირიებს?

— ჩემი დეიდაშვილი, რაღა გამოლენიდი და გამოთაყუნდი, ჭერ არ ვაგოვონია და ვინახავს? გუწმწინებზე არ მივაბარებ მიწას დეიდაჩემი

ანგელინე?

— ეხ კი, რაღა არა, მაგრამ კაცისმკვლელი ნუგეშა... მგლოვიარე ქალიშვილი?!

— კაცისმკვლელი და კაჩალი ამდენ ხანს კი არ იყო. ვის რო ვუი დამბატება და დამწვარს — მდულარე... ახლა უქირავს ხელში დამბაჩა და დამბაჩას მერე კეუა კი არა აქვს, დააქერს თითს და მოგჭამა ქირო.

— მაგან, მგონი, ბიოლოგიური დამთავრა და სადღაც, ლაბორატორიაში არ მუშაობდა?

— ჰოო... მაგი და, ამის მერე დაიჭერე შენ ადამიანის... მარა, რომ გამწარდება, გაშხამდება და ჭკუაზე გადავა, მერე რას იზამს შენ გაიგებ?

— ყაჩაღები დავხსნენ? გაძარცვეს, დაჭერეს, ვაუშპატურებს?

— ყაჩაღები... ყაჩაღები დახსნოდნენ და შიშველ-ტიტველი დაეტოვებიათ, არ მერჩია?

— მაშინ, რაღერ დაიჭერო...

— არ დაიჭერო, სანამ ხისხლს არ დაღერის და ორი კი არა, ვინ იცის, ყველა არ დავიღობოთ.

— აბა, ვინ უნდა მოკლას და რატომ?

— ვინ... ვინ და, თავიანთი მეცნიერი თანამშრომელი. იმას ხეირიანად კი არ ვიცნობ, ან რას დავებ ვინცაა. დაიქცა მისი ოჯახი, აქაური არცაა.

— არც მე დავებებ, მაგრამ კაცი ხოა.

— არის, მარა დღესა და ზღად არ იქნება.

— ნუგეშა... იმ კაუზანდარა, თვალბდაუცვლებილმა გოგომ... კარგა ხანია უკვე აღარც გოგომ... მეცნიერი უნდა მოკლას?!

— კი, კი, კი... გაძეცილი დამბაზა უდევს ჩანთაში და ის მეცნიერი, რატომ გაუჩნდა დედამისს, ჩემდა საუბედუროდ, და რატომ არ დაატყდა ფეხები, აქ სამუშაოდ რომ ჩამოშავდა, თურმე, ლაბორატორიაში აღამებს და ათენებს იმ გოგამისთან.

— ნუგეშასთან?

— ვაი... გამოგაურთა და გამოგათყუანა ჩემმა ცოდვამ, ნუგეშასთან რომ აღამებ-ათენებდა, იმან დაუმართა, რაც გეჭირს, მარა ახლა იმასთან, ვინც ითხოვა და, მივა ამელამ... ვითამ, იმ გოგოს... ვერჩიო, მარა კაცს რომ შეიღ ტყვიას დააყრის, იქ ვინმე გადაჩრება? და ქალი რომ გადარჩეს, კაცი ხომ განწირულია... რა მოკლავს, ერთს მოკლავს, ორს თუ ათს.

— მოიცა, მოიცა, გოგოლა, ხალხი მიდი-მოდის, რა იცი ეს, უარესის უარეს რომ წარმოიდგენ და დაიჭრებ, დაწუნარდი, დაშოშინდი, შენი... ასე ხორცსაგებ და ხანდაზმული ქალის ამდენი ღლეფა და დავიდარბა აგონილა? რამდენი ცბელ გულზე ვინმე ვინმეს დაშუქრება, ყველა რომ მოეცალათ, ახლა ნახვეარი არ ვიქნებოდით, ჩვენ, ქართველები, ფიცხი ხალხი ვართ.

— მაგან დავგულბა, გულს ვართ აყოლილი, ქუთა ჩვენ არა გვაქვს და მოთმინება.

— მაგრამ, ჭერჭერობით, ხოა ი კაცი ცოცხალი.

— ჭერ კი, მარა ამელამ იმსხვერპლებს... იარაღი... იარაღი სად იშოვდა, იმ ჩემი ცოდვით სასვამ.

— არ კითხე?

— კითხე და გეტყვის, დანა კბილს არ უხსნის, ელაპარაკე ცივ ქვას, რომ ამბობდეს და ჩემსავით ჭკანით და თავში ხელის ცემით გულს იხებდეს... ამანა, რომ აქამდე მოვალწევია.

— უთქმელებს და გულჩახვეულებს აგრე ადვილად ვერ ენდობი.

— შერედა, მაგისთან, დედისერთა თავკერძებს გონათ, ქვეყანა მაგათოვისა გაჩენილი.

— ნუგეშა, თითქოს, კარგი გოგო მასსოვს, სათნო, თავმდაბალი. მე არც ისე კარგად ვიცნობ, მაგრამ ცოტა, ალბათ, პატივმოყვარი.

— მარტო თავის უკანალზე რომ იყურებინ, იმნარი. და იმ უკანალზე თუ ვინმე შეაჯღებათ...

— გოგოლა, მე ხომ ვიცი, რაც ხარ, მაგრამ ეს ლაპარაკი რომ ვინმემ გაიგონოს...

— რა ვიცი, რატო ენა არ ჩამოციდებდა. გზა-შარაზე ვართ, ხომ? წამოდი, წამოდი და იქ ვილაპარაკოთ.

— არა, მაინც რას ერჩის. მაგას სახარება არ გაუგონია? ქრისტიანი არაა? თუ ერთად მუშაობდნენ, რა მეცნიერული აღმოჩენები მაგას ჰქონდა და დავიჭირო იმ ოჯახქორმა მითთვისა?

— ვინ მითთვისა, რა მითთვისა?

— ის კაცი მეცნიერიო, ასე არ თქვი?

— შერე, რომ ვთქვი... მითთვისა და მოიპარა კი არა, ნუგეშას უყვარდა.

გამეცინა:

— როგორც ძველად იცოდნენ თქმა, „სიყვარულის ნიადაგზე“... დღეს ჭერ სიყვარული სადაა და მერე ისეთი, ამისთვის ქალმა კაცი მოკლას.

— თუ არაა, შენი თვალით რომ ნახავ, მერეც არ დაიჭრებ?

— კარგი ერთი, თუ ქალი ხარ. ამისთვის გადაირიგ, დარბიხარ და ამოიგოვებ გულ-მუცელი? ის, ვითომ მეცნიერი, ალბათ, რაღაცა ცდებს აყენებდა. ნუგეშას, როგორც „შთაგონებას“, გვერდიდან არ იშორებდა და შემოეხარბათ ერთმანეთს. დღეს ხარისხს ვინ აღარ იცავს და, ახლა, ამ მეცნიერ... კაცმა ეს, ცდების დროს გაზარული ლაპარაკის „სინჯარა“ აღარ ინდობა, ადგა „სინჯარა“ და... დამბაზა?

— ასე ზერტელედ რომ ვუყურებთ ადამიანს, სიყვარულს და სიძულვილს, ღლატს და ერთგულებას, იმიტომ გვაქვს კი ქვეყანა და იმიტომ ვართ ქალები მოტყუებულნი და დაუოჯახებელი, კაცები — ვაიმეცნიერები და ქვეყნის ვაიპატრონები.

— მე ასე რომ არ ვუყურებ, იცი შენ და ამ-იტომაც იყო, ალბათ, რომ მომავურე. მაგრამ ვარედან, თვალის ერთი გადავლებით ესაა დანარჩენი, წავიდეთ, იქ ვილაპარაკოთ.

— წავიდეთ, შენი ქირაზე, წავიდეთ, იღუპება გოგო. მომკიდე ზელი და წამომაყენე, ახალავე წავიდეთ!

გზას დავადექით თუ არა, გოგოლამ გამაფრთხილა:

— ნუგეშას მე რავარც საჭიროა ისე ჩაეპქესენდებ და იმ კაცის მხარე შენ დაიქირე, ამ გოგოს შენ ისე არ იცნობ და მე ვიცი, მაგის რაც არ უნდა სიგლახე თქვა, თუ სიმაართე თავის მხარეზე არ იქნა... დარწმუნებული ვარ, დედის სულს არ წაიწმუნებს და უსამართლობას არ ჩაიდენს. მე ასე, ერთი კაკალა რომ ვაგდივარ და უსაშველო მაქვს გაჩენილი, რომ არ ვიცოდე, ასე მოწერეული, ორი ქალის წონა და ამნაირი აღქაჩი ვარ, ჩემი თავი მე არ მინდა, ვის მივაჩეჩო, თვარა, ქვეყანას არ დავუშქავებ?

— კი, ბატონო, მაგრამ მაგი მასეც რომ იყო, ვითომ შენი ბრალა?

— აბა, იმ კაცმა რა დააშავა? ოცდაათნი საათი მე მტერმა მიყურა! მაგისთვის, იმ ადამიანმა რომც მიწადმოოს, მე ვერ ვაწვირავ.

— კი, მარა ყოველთვის ასეთი იყავი? არ შეგეყვარება, თორემ...

— შეგეყვარებია? მაგი ასე კი არაა, თუ შენსკენ არავინ იხედება და მე მივეყვარებო და გინდა თუ არა, შენც შემიყვარეო... არა, ნუგეშასთან ასე კი არ იყო საქმე, ი კაცი, ერთხანს, მაგის ქირს მიწაზე არ აგდებდა. მარა მაგ, კაციშვილის გამსრესი ვრწნობა, რაკული მოსაველეო, დაიწვა ჩვენი გაჩენა, ათსნაირი ქირით სასვე ადამიანს კილო ეს სნება უნდოდა?

— ისე, კაცმა რომ თქვას, თუ ასეთი თავგანწირული სიყვარული ჩვენში კიდევია, მაგას ერთი და ორი კაცი რომ ემსხვერპლოს, არ ღირს?

— ჩუ, ჩუ... მაგნაირი იმასთან არაფერი წამოგვდეს, შენ ხანდახან იმნარი ხუმრობა და ღლიცინი იცი, ვინც არ იცის, მართალი ეგონება.

ნუგეშას წინაბრები, ხანამდე აქაურობა რაიონული ცენტრი გახდებოდა, მანამდეც აქ ცხოვრობდნენ. მერე ეზო-გარემოს ვილა შეარჩენდა, მაგრამ სახლის და სახლის ირგვლივ — ფეხის დასადგმელად ძლივს დაუტოვებს, გოგოლას დეიდამ ამ ერთადერთი ქალიშვილის — ნუგეშას მტეი არ იყოლა თუ არ ეყოლა (ქალის ასაკს ვინ გაიგებს, თორემ ქმარზე ბევრად უფროსიც იყო). ქმარი ამ ამბავს არ შეუტრფდა (უთუოდ ცოლს დებდა ბრალს), მემკვიდრე-ვაიშვილის უყოლებლად გადაგება

არაფრით არ ინდობა. საამშენებლო ტექნიკში დაუსწრებლად დაამთავრა თუ ისე გაახერხა, მშენებლობებზე „ორარაობდა“, საამშენებლო მასალებს ჩვენში, რუსეთში თუ ციმბირში შოულობდა, ყიდულობდა, ყიდდა, ცოცხლებსა და „მკედარ სულებს“ ნადდავდა და ძველი ხის ოღის ადგილას ახალი, მშვენიერი „კაბიტალური“ სახლი წამოჭიმა, ეზოსაც რკინის ცისფერი გალვანი შემოარტყა. მიწა რომ უქირდა, ხეხილი და ვენახები ახლო-ახლო დარგო. მოსაგარი უმნიშვნელო, თორემ საწრდილობლად არაფერი სჭობდა. კაცი ვერ იუქირებდა, გული სხვაგან ჰქონიო და, ამასობაში, თბილისში ზინაც ეყიდა, ქალიც გაიჩინა და ბიჭიც შექენიდა. ნუგეშა რომ ინსტიტუტში ჩარიცხა, დაიხურა ქუდი, დაჯრა ფეხი და თავს უშველა. არც სასამართლო უძებნია და არც რწულმდებელი, კაცმა რომ თქვას, თავიან დედასა და ქალიშვილს თავის მიხედვით არც უნდა გაიქირებოდათ. ჩვენს უმაღლესებში შენ ჩარიცხვა თქვი, თორემ მერე ყველა ამთავრებს. ისეთებაც კი, წიგნს სათოფეზე რომ არ წაქარებინა. სხვათა შორის, ისიც მქონდა უურპოკრული, რომ ნუგეშას ის ლაბორატორია მამამისმა, აქაური ძმაკაცებით, ისე გაუხერხა, ქალიშვილს და ნაცოლებს არც გაუგათო. და ნუგეშა, აგრ, რამდენი წელიწადია მიდის, მუშაობს (თუ ჩვენში ვინმე რაიმეს აკეთებს), მოდის — სახლი არა აქვს საამშენებლო, სადილ-განშაში და ჩრდილი საძებარი, ამ ბოლოო დროს დედა რომ არ გარდაცვლიდა. ალბათ, ორმოცი ახალი გადახდილი თუ ექნებათ.

გოგოლამ ჭიშკარი ისე შეაღო და შემოძვდა, არც ზარი დაუტრკავს და არც კრინტი დაუძრავს. არც იმ გაბანჯვლულ, ქუქუქან თეთრ ფინის ამოუღია ხმა, ფეხებში რომ გაუგორდა და გოგოლას სიყვარულით არც მე მიუტოვოვა.

— სახლშია?

— სახლშია, აბა, სად განდაბაში იქნება. დღისით-მისით ხომ არ წავა კაცის მოსაკლავად.

— გაჩუმდი, თუ ქალი ხარ, ღმერთმა ნუ ჰქნას.

— ღმერთმა დაიუაროს, მარა დედაკაცმა თუ გაიწია... ისიც მაგისთანა თაქვიქვამ.

— მისმინე, გოგოლა. მართლა თუ მასეა საქმე, მე შენი კი, სიყრმის მეგობარი და ახლობელი ვარ, მაგრამ მისთვის მაინც რა ისეთი... მესაიღუმდე და ტოლ-სწორი ვარ.

— მისთვის რომ არა, ჩემთვის ხარ... რაც დეიდაჩემი აღარაა, მეც ხომ აქ ვაგდივარ. მამაჩემისეულიობა ჩემ ძმებს და მათ ქარაღსუტა ცოლებს არ ყოფნით. თითო-ოროლა ბაღნებიც ხომ უკეთ და... მე, ნათესაობაში კი არა, მეგობრობაშიც, ვისაც უქირს იმის გაღია და ქირისუფალი ვარ. საკუთარ მძორს ძლივს დავათრევ, მარა ჩემი ვის რა ეყურება.

— იმიტომ ხარ, შენ, კი გოგო.

— „კი გოგო“.

— ზო, ბოდიში, წამომკვდა... მაგრამ მაინცდამაინც მე? უხერხული არ იქნეს.

— აბა, რა გუნა, ვის, ვის, — წამოიჭაქანა და უცებ პირზე ხელი დაიფარა. — აბა, ჩემ ძმებს ვუთხრა? სამივე ერთმანეთზე უარესი მუტრუყვება. წავლენ და, ამას არ აცლოდი, იმ კაცს ისინი მოკლავენ. ერთი ბიძაშვილი მუყავს რაღაცა რთ ესმის, ნოდარი, და ავარაში მოყვა.

— უკეთაო.

— გადარჩეს მგონია, მარა ცალკე იმისი დარდი მკლავს... ნუგეშა ისე ბაიყუზად გაზრდილი ყავს

უმედურ დედაჩემს, მაინცდამინც ისეთები, ასეთ დროს თავზე დაეხვიონ და ტყვიას შუბლი მოუშვირონ, არავინა ჰყავს. მაგის კლასელები ორი გაშურდნენ, ზოგი ვაქრობს და ზოგი... აბა, ის იარაღი ვინ უშოვა... შენ, რაღაცა ჰქუაღ გეკითხება, ორი სიტყვის თქმა შეგიძლია. პატარა, ჩვენზე მეტი, ქვეყანაში განედული ხარ; ამ მრულე წუთისოფელს რაფერ გასწორებდი, მარა ეს სიმართლე რო ვინმეს ეფურტობდეს, ქე ამბობ. ეს იცის ნუგეშა, შენი პატივისცემა აქვს... რაღაცა თუ არ ვილონეთ, გოგო ილუბება!

— ვითომ, ჩემსას გაგონებს?  
— შეძახლით ხე გახმაო, რავა არ იცი და, აქეთ მე, იქით შენ. იქით, კილო... მამამისმა არ მინდა რო გაგოს, თვარა... ისიც კი გულდრძოდა, ნუ გენადლებდა... აბა, რა ვქნა?! მაშინ, ჭერ მე მკარით ის ტყვია, ერთი კაკალი მეყოფა, ისედაც გული ხელით მიჭირავს და მერე იმ კაცს... იმდენი აქვს, ყველას გვეყოფა... სად იშოვა, იმის მეცარად მაქცია. თუმცა, ფული რას არ იშოვოს. მაგ დასაწვავი, ჭიმიდარემაც დატოვა და დედაჩემმაც... დმერთმა განათლოს იმისი სული... რავალი მომპირენ და კურკლიწინიე იყო, თუ იცო...

— ჩუ, ჩუ, რანაირი სიმართლეა, ახლა. მაგი.  
— ბიო, მე რომ ვიცრუო და ვიორპირო, ვის რა გამოვჩინე. შემოდი, შემოდი და არ დაიწყო მით-მოეთიე, შესავალ-გამოსავალი. პირდაპირ მივდგეთ და ჩავაჭოვრებითო. მაგის ბრალია, ვიცი მე და იმითომ. გოგოვამ შუშაბანდის კარი ხმაურით შეაღო და ხმას აუწია.

— მობრძანდი, მობრძანდი. ხვეტა-წმენდის და მილაგების თავი გვაქვს კი არა, ხელში დამბაჩა გვიჭირავს და კაცებს ამოსაწვეტად დავსდევთ. ნუგეშა, დიდ ოთახში, ტახტზე იწვა. კედლიდან დედის გაიდებული სურათი დაჰყურებდა. ჩვენს გამოჩენაზე უნებურად წამოგდა. ჩემს დანახვაზე ჩაწითლებულ თვალეში სიყვითლე გაუკრთა და ჩამოტირებული სახე მენად გასახეთქი ღრუბელივით ჩამოუქურხდა.

— დიდუ, — წამოიკვილა გოგოვამ. — თუთუნი მოუწვია, მისდემში რომ არ უქნია.  
— რა მოხდა მერე. ახლა ვინ არ ეწვევა.  
— დავილუბეთ, დავილუბეთ!  
— გამარჯობა, ნუგეშა! — ესაღ მოვანერხე. სკამების მეტი რა იყო, მაგრამ ისეთი ადგილი მინდოდა ამერჩია, ნუგეშას თვალში ეკლად არ შეესობოდი. მიასულხა თუ არა, არ გამოგონია. ამაზე გოგოვამ დაეტყა:

— კაბა ჩაიფარე და სტუმარს ხელი ჩამოართვი. გამოგაშტერა და გამოგაღენწა ჩემმა გამჩენმა. ნუგეშამ დივანზე დარჩენილი ცალი ფეხიც ჩამოიღო და კაბა ჩაისწორა. ვითომ, გაქცევაც დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ მისთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო.  
გოგოვამ ტიხრის კარი შეგლიჯა და გავარდა. შესუთული, დამარებული სევდა ნისლივით იდგა. კედლიდან მზირალი, პირმოკუშული ქალბა ქალი, საცა დაიყვირებდა მეგონა.

გოგოვამ მალა შემართული რევოლვერით დაბრუნდა.  
— ა, ხედავ! დაჭეი შენც, ჩემო მკვლელო, რავა დატუქსულივით დაეყუდე!  
— კი, დავჭედები, აბა, სად წავალ.  
სანამ დავჭედებოდი, სიგარეტს მოვუკიდე, საქმე გავიჩინე.  
გოგოვამ ბროლის საფერფლე გადმომიდგა, ვაზა იქით გააჩოჩა, რევოლვერს ტარზე საეტი ახსნა,

მქიდე გამოაძრო და ცერა თითით ვაზნები დააყრევინა.

— რამდენია?  
— რა ვიცი, შვიდი მაინც იქნება.  
— შეიდე კაცს ხომ მაინც მოკლავს?  
— მსროლელს გაჩანია.  
— მაგი აგრ ვიკითხოთ, რავალი მსროლელია... გამოიხედე, შე თვალეზდამდგარო, აქითი — თავჩაქინდრული ნუგეშა არ განძრეულა. — ეს, ხომ იცი, ჩემთვის ვინაა, მე და ეს ერთად გაიწარდეთ. მოკლე კაბაში რომ დაკერებული ნივხავი მიჩანდა, იქიდან მოყოლებული... და ჩემს თავს რომ ვერ ვუშხელ, ამასთან გავრძივარ და ამას ვუვებნები.

საქმე მთლად ასე არ იყო, მაგრამ ახლა ასე სჯობდა და მეც, ვითომ, კვერი დაფუკარი.  
— დედამიშვილს ვერ ეტყვი იმას, რასაც მეგობარს.

— დედამიშვილს?! — შეიცხადა გოგოვამ. — მეტი გაუწვია ჭირმა, ეტყვი და გაიფებენ? სხვას გაუტებენ, სხვის დებსა და დედაშვილ-მამიდაშვილებს, თავისას არაფრის დიდებით. თავისიანე ფრთიანი ანგელოზები უნდა იყონ, არც არავის დედაუბარკონ, არც არავისთან გაიარონ, არც კოცნა-პროშნა და კიდევ უარები თუ მაგენის ახლობლებს სჭირდებოთ, რავა გეკადრება ვითომ, მაგენი რომ ქალებს დასდევენ, ისინი არ იყონ ვიდაცების დები და დედაშვილები...

— ჰო, გოგოვამ, მაგრამ... სადაც სიყვარულია, იქ მოტყუება, ლაღატი და სიტყვის გატეხა არავის ეპატიება.

— ჩუ, ჩუ, თუ დმერთი გწამს! კაცი, მიყვარხარო ამას გეტყვის, აბა, რავა იქნება... მე კი არ გამომიცდია, მე შევადლეზე გაჩენილს, თვარა მეორეჭერ რავა ვაქმევივინებდი, ისე დაუწვებოდი...

ვიცოდი გოგოვალს ნაჯახით პირდაპირობა, თავის არდაზოგვა, მაგრამ მთლად გაშიშვლდა და გაუწყერო:

— მოიცა, გოგოვამ, სხვამ თუ არა, მე ხომ ვიცი.  
— იცი. თუ არა, ბიჭებს სულ ჩემზე ამოდიოდათ მზე და მთვარე.  
— შენი მეგობრები...  
— მეგობრები, ყველა ჩემისთანას, ქალად რომ არავის უნდა, მერე მეგობრობენ. აბა, რა ქანა. დან-ძმობაზობას ეთამაშებიენ. კირმა გაუწყვიტოთ ძმები ისედაც არ მყავს? დებს ისინი არ ეყოფათ ბორკილებად? ქალს სიყვარული უნდა — კაცი და ქალიც ისეთი, რომ შეცდეს...

— შეცდეს?!  
— შეცდეს, აბა, უცდუნებელი, ხმელი ხე ხომ არაა.

ვიცოდი სადაც უშიზნებდა და მეც მის წისქვილზე წყალი უნდა დამესხა. მაგრამ ეს „მისი წისქვილი“ იმდენად წყალუხვი მეჩვენა, შემეშინდა, მთლად არ შევტბორო და დავუქმო-მეთქი. რაც მაგიდასთან დამსვა და წინ რევოლვერი და ტყვიები დამიყარა, ტახტი და ზედ უნებგომოდ მოგდებული ნუგეშა ზურგის უკან დამრჩა. ადგილის შეცვლა არც მიცდია. ნუგეშა გოგოვალს უახლოესი კი იყო, მაგრამ ჩვენზე — ბევრად უმცროსი და არ შემეძლო ამ შეცდენილ, ხელნაკრავ, კაცისმკვლელად თავგანწირულ ქალისთვის მეცქირა და იმასაც ახლა იმაზე ეზრუნა, მუხლისთავები უჩანდა თუ გულისპირზე დილ-კილო ბოლომდე ჰქონდა აბნეული. ჩემგან სამ-ოთხ ნაბიჯზე თუ იყო, მაგრამ ისე იყო სასოწარკვეთისაგან მისიკვდილებული, სუნთქვაც კი არ ისმოდა, თუ გოგოვამ ისე ბოზოქრობდა,

ყოველნაირ ხმაურს ნთქავდა.

— ჰე... რავა ვქნათ ახლა  
— რისი რა უნდა ვქნათ? — გულუბრყვილობა მოვიწოდებ, ვითომ აქ რა იყო ისეთი არადადამაწურთი და ჭერ გაუგონარი, რომ აუცილებლად რაღაც უნებურება უნდა მომხდარიყო.  
— რისი, ჩემო მკვლელო, და იმის, რაც გითხარი. — გოგოვამ, ვითომ რომ არაფერი ვიცოდი და აგრ, შემთხვევით შეგხვდი, ან მე თვითონ, მაინცდამინც დღეს, მოვფუნებე მათი მონატრება, ამას არავინ დაიჭერებდა და არც ინდომა.

— რა მითხარი — ხმას განგებ მეც ავუწიე. — ჰო, რა მითხარი? ერთად რომ მუშაობდნენ, უყვარდათ... და ცოტა შედმეტმა სახლოვემ დაარწმუნეთ ერთმანეთისთვის არ არიან გაჩენილი და იმ კაცმა...

— მეცნიერმა კაცმა! — ჩაურთო გოგოვამ.  
— დიხას, მეცნიერმა. სხვას, იქნებ, ქვეყნის თვალის ასახვევად შეერთო, მით უმეტეს, თანამშრომლებმა, ალბათ, იცოდნენ მათი სახლოვე. მაგრამ, მერე ხომ მაინც უნდა გაშორებოდნენ, ან მთელი ცხოვრება ეტანათ და ეცახირათ, რაც ხშირად ხდება...

— მერე, ეს იფივე არაა, რაც მე ვთქვი?  
— შენ, როგორც იცი, ისე წარმოიადგინე, რომ კაცი უნდა მოკვალათ, ან... რა ვიცი რა უნებურება უნდა ჩავიძინოთ...

— შენ თქვი ფრანგული, მე ქართული... იაბონური კიდევ უკეთესი... ჩვენისთანა გაჭირვებული ქალები ბორდელეზში ბოზობით სამიზთო ფულს აგროვებენ და მერე თხოვდებიან. ამ ბაიუთივით რომ დამბაჩა ხელში აელოთ... — ამასობაში რევოლვერი ცხვირწინ ამაღლა და კედლებს „დაუშინა“, — ბახ, ბახ, ბახს და რამდენ მამაკაცთან შეცოდეს ყველა დაეხოცათ, იმ თითო მტკაველა კუნთულებზე რომ არ ეტევიან, ნამეტანი ხალვათობა იქნებოდა.

გამეცინა:  
— კი გცოდნია.  
— მაგისთანევე წამოკითხავს? თუ, მე შენ გეტყვი, ბიჭები ტელეფონებს მიმტვრევენ, პაემანიდან პაემანზე დავტბოდი და მერე, მთელი დამე, ღობებზე ვყავდი სიყვარლებს მიუღებელი, ან ტყეში ხეებზე გაკრული და ჩემს ხვეწა-კოცნას გულს ვერ სწყვეტდნენ. რამდენად მაიხახი ქალი, იცი მაგი შენ, იმდენად მეტი აქვს ნაფიქრიც, ნაკითხიც და ნასაქმიც... სხვათა შორის, ვინც ახლა იმ ჩემი ცოდვით საესემ შიროთო, შესანედავად ამის ფრჩხილად არ ღირს... ჰო, რას ვამბობდი? დანებული მაქვს ჭკუა!

— იაბონელეებზე, მაგრამ... ისინი... მათი ცდუნება რა უშუა... ისინი თავისი ნებით...  
— რავა, ეს ვინმემ ძალით გააუბატოლა... გოგოვამ ამოიღე ხმა შენ, რავა, ძალიდობა იხმარა? აჰ! ბაწრით დააკრა ღოგინზე და ისე აგხადა ნააუხი თუ ხეზე მიგაბას. ე, თუ იღებს ხმას!

— კი, ახლა, გოგოვამ, რა გითხრას და რა გიასახუნოს?!  
— რას არ მიასახუნებს, რომ ხმა ჰქონდეს ამოსადები. მაგი, რავა, თვალთამამი რომ არაა და ჩემსავით ქუჩაში არ უსტვენს?... ა, შენედავ, კაცს კი არა, ქალს მოეწონება და ყოველდღე რომ ამისთანა, კუდრაქა კაბით წინ გიჭდეს და დამით, დაბორატორიაში ფეხებში გედებოდეს...  
— ღამე ერთმანეთს ფეხებში ედებოდნენ თუ ცდებს აყენებდნენ.  
— ცდებს რომ დააყენებ... დასწყევლოს

დმერთმა, რამდენი მეცნიერი და გამოგონებელი მოგვიმჩადდა, იმდენი შიმშილით ვინოცები... რო კითხო, იმ ჩემი ცოდვით სახეს, ქათმის ჭიშები გამოჰ ყავს, თურმე, უკეთესის უკეთესი.

— მაინც, მაინც... — თუ, ბოლოს და ბოლოს, მეც რაიმე უნდა მეთქვა, მეტი მცოდნოდა, რომ ნათქვამისთვის დამაჭერებლობა მიმეცა. თუ მოინდომებ, ჩვენში, არ არსებობს ადამიანი, დამნაშავე არ იყოს და ამავე დროს — უდანაშაულო. მაგრამ ერთსაც და მეორესაც მაინც მარჯვედ დასაბუთება სჭირდება და ამ საბუთებს რამდენად მოულოდნელ ადგილას აღმოაჩენ, იმდენად სარწმუნოა.

— მაინც და... — ჩამოკდა გოგოლაც, ბოლოს და ბოლოს და აუუბუღილი მკერდით მაგიდა ისე შეარყია, ზედ დაყრილი ვაზნები ერთმანეთს მიაწყდნენ. — ასი წიწილიდან ათს ამოარჩევენ საუკეთესოს... ასე არაა, გოგო?... ამიღე ხმა, შე ენაჩასაცხებელი!

— ეს ნუგეშს უკეთესად ეცოდინება... — სკამი ოდნავ შევაბრუნე და თავიც იმდენად, დანახვით დამენახა, მაგრამ თვალთ არ გამესწორებინა. — კარგი, კარგი, თქვი და თუ რაიმეში შეცდი, აჯერ არაა.

— და ის არჩეული ათი, თუ ათასიდან ასი, ისე უნდა გამოზარდო, როგორც, რა ვიცო... როგორც დედა შვილებს არ ზრდის: ხან მოუშვივდება, ხან მოუწყურდება... წიწილებს დღე და ღამე თავზე ან შენ უნდა ადგე, ან, ვინმე, შენვე ერთგული და მუყაითი. სხვა მომვლელსა და გადიას რომ ჩააბარო, დღეს ბაღებში ბავშვებს მიირიან და დღეკილ ლუქას აცლიან და ქათმებს ვინ დასოვავს მაგს გარდა, უნდა უდარაჯო, რომ მეორე მეცნიერმა დარწმუნანი არ დაუყაროს... ამ დროს ვინც გვერდში გიდგას, ეშმაკის მავსხლა რომ იყოს, სიყვარული უნდა შეფიცო და უნდა დაარწმუნო, საქმეს რომ მორჩებით და ამ „აღმოჩენას“ ჩაახარისხებთ, ერთნი იქნებით, რომ, იქნებ, თავის თავს არ მოპაროს და თავის საქმეს უერთგულოს.

— მერე, რავა, ნუგეშა ულამაზოა თუ ვინმეს რაიმეს დააკლებდა? — ვიწყინე, რაკი ეს, ერთის მხრივ, სხვანაირად არც მგონია და მეორეც, მე ნუგეშს თავის მომხრედ უნდა მივეჩნიე. მისი გული უნდა მომეგო, რომ ჩემი „აგაჩენა“ ერწმუნა. სად ის, რომ შენი კეთილმოსურნე გაგაბტუნებს და სად ის, რომ მოძულე გაგაშავებს.

— მერე, მე მაგი ვთქვი, შენ ჩემო დამღუპველო! რაღაცა რომ უნდა თქვა, ამიტომ სისულელე კი არ უნდა თქვა! — არც მე დამინდო გოგოლამ და, კაცმა რომ თქვას, ამიტომაც მიყვარდა ეს ყოველნაირად აუტანელი ქალი. ეს ისაა, ვისაც ვერ იტან, გაუბრძნობარ და გული მისკენ მიფიქვს. რომლის გეშინია, როგორც დამნაშავეს სასჯელის, მაგრამ უმისობაც შეუთქმებელია. და მაინც, ამ ჩემს მიმართ ნათქვამმა, ერთი შეხედვით უწყინარმა სიმართლემ პატრივმოყვარეობა შემიღალა თუ მაწყენინა. ჩვენ, ჩემი ქსოვით, უნდა გაგვემართლებინა დამნაშავე კაცი. რა მკვლელი ნუგეშა იყო, მაგრამ სასწაული არ მომხდარიყო და დამაჩა არ გავარდნილიყო. ახლა გამოდიოდა, გოგოლა უშედავითო სამართლიანობის გზას ადგას და უბრალო, არაფრის მოქმედი ფრაზა არ შემარჩინა. თუ ასეა-მეთქი და, კითხვა მეც ბირდაპირ, მიუკბ-მოუკბავად დაუესვი:

— შენ გგონია ის... ვინცაა, მე იმის არც სახელი და გვარი მინდა და არც პროფესია, კაცი მთლად უდანაშაულოა?

— მე ასე მგონია...

— მთლად ალაღმართალი?

— ცაღდე მართალი... — არ ვიცო, ასე სჭეროდა

თუ იმტომ, ნუგეშასათვის ტკენა მიეყენებინა, რომ წამოეკენესა:

— გაჩუბდე, გოგოლა, თავი არ მომაკვლევიო!

— გაჩუბდე და ქვეყანა ჩალით დავხუროთ? თუ, ვირვილოთ და, ვინც მეტ ქრთამს გაიღებს, მართალიც ის იქნება...

— მართლა და მართლა, გოგოლა... ა, აჯერ, „დამაჩა“ გატენილია... — ჩემდამუხუბრად, სიგარეტი ჩავაქრე, ვაზნები ავბოკე და მკიდვემი ჩაწყობა დავიწყე. — დავიჭერო, ეს სათნო, კეთილშობილი არსება ასე აიღებს და „ცაღდე მართალ დამაჩანს“ სასიკვდილოდ გაიმეტებს? რაღაცა ჩვენ ბოლომდე არ ვიცით. ისე, ქალის და კაცის ინტიმურ ურთიერთობაში როცა ყველაფერი იცი გგონია, მაშინაც არ იცი.

— ვიცი, ვიცი, — სკამსა და მაგიდას შორის ისევე ვერ დავტყა და წინ უბიძგა. — ვიცი, იმას მეტყუი, მე სექსისა არაფერი გამეგება. არავის სამაგისოდ არ უნდომებივარ და ვერ მივხვდები, კაცებს ქალი გულაღმა გაშხლართული ურჩევნიათ თუ თავდაღმა დამხობილი, აქტიურთ თუ პასიურთ...

— გოგოლა! ამ გოგოსთან... — მთლიანად მისკენ მივბრუნდი. — ჩვენ ამაზე ბარე ოცი წლით უფროსები ვართ...

— მეტი, მე, ამ საქმისა, მაგის მეოცედი ვიცი თუ?

— მომეცით მაგ იარაღი, იწამეთ ღმერთის... — შემეგვერდა ზურგს უკან ნუგეშა და ისეთი დაუბუბული ქეთიანი აღმოხდა, კინაღამ გოგოლას ვეცი და ბირზე ორივე ხელი ავავსო.

მან, ბირიქით, რაკი ხატარა და ააწიოკა, თვითონ მოეშვა და მერე ხმასაც, მისდა უნებურად, დაუწია, მაგრამ დანდობით არ დაინდო.

— აი, ხომ ხედავ... იარაღი მომეცითო და არა ის, რომ სიმართლე ვიცოდეთო...

წამით უკან მივიხვდე. თმებში ორივე ხელით ჩაფრენილი ნუგეშას დანახვისთანავე გოგოლა უხმოდ, თვალებით დავტუქსე: ნამეტან უსაშველოს ნუ გაუჩენ, თორემ, იმ კაცს თუ არა, თავს რაიმე უბედურება არ აუტეტნოს-მეთქი.

მაშინვე მიმიხვდა და მაინც ამოიქსქასა:

— თუ ეს, ოხრადდასარჩენი დამაჩა, მაინც უნდა გავარდეს, მაშინ უდანაშაულოს მკვლელის სახელით ცხებებში და ლაგერებში ყოფნას, თუთუნის წევას, მორუხინისობას და ბოლომას, თავი მოიკლას ურჩევნია.

ვითომ ვიფიქრე, ცოდვა ისე გაგვეწაწილებინა, ყველაფერი მთლად ერთისთვის თავზე არ დავევესხვინა და ჩავურთე:

— იმ სექსუალურ... ჰო, რაც ჰქვია... იმ კავშირს ორივე სჭირდება... და მარტო ერთი დამნაშავე და მეორე მთლად უდანაშაულო?

— ქალი... ქალი და მხოლოდ ქალი, თუ ძალადობა არაა, ან რაიმე მაქინაცია... თუ ორივე ნორმალურ მდგომარეობაშია...

— ასეთ დროს ნორმალური არავინ არაა.

— მაგრამ რაც ერთია, მეორეც ისაა... და მარტო მამაკაცი ხომ ვერაფერს განდებს? — ვერ ვუპასუხე, ისევე სიგარეტს მოვუკიდე და თავი გადავაქნიე. გოგოლამ ორივე ხელი გაასავსა. — არ მინდა შენი ახსნა, მეც ვიცი, თორემ აჯერ არაა გამოცდილი ქალი?

— მომეცით, მაგ დასაწავილ... შეიხვეწა ნუგეშა და თმების დაწყვეტის ხმა მომესმა, ალბათ ორივე მუქით ჩამოხდებოდა. — მომეცით... — ღმერთი არ გწამთ?..

— მიეცი, მიეცი, მან უკეთესად იცის, ვინაა ქვეყნის დამაქცივი.

— მაგრამ ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთო! — წამოვიყვირე. — ჩვენ რა... მოსამართლეც, ბოლოს და ბოლოს, ადამიანად ან რაა ისეთი, ჩვენ მან იცის და ჩვენ არა. ის ცივ-ცივი ქალღმერთი ჩვენც გვაქვს წაკითხული... და, მგონი, ისინი შიგ სულ არ იხედებოან.

— რა მოსამართლე და მსაჭული აჯიტიდა — გაანჩლდა გოგოლა. — მაგნი რომ მდომებოდა, ეგერ არ ეყარენ?... ის წიწილები...

— რა წიწილები?!

— რაღა, მეცნიერული...

— ჰო, მაგრამ მაგი ხომ ვთქვიო.

— რა ვთქვიო... ის არჩეული წიწილები ხელისგულზე ხომ უნდა გაზარდო, დაადებინო კვერცხები და ისევე გამოიქცო ინკუბატორში... კრუხივით ერთ საათს ვერ მიატოვებ უპატრონოდ. როდის გამოიგირთავენ ელექტრონს და როდის გილატებს ჩვენი ნანკლავი აპარატურა, არ იცი. ისევე წიწილები, ისევე უკეთესის უკეთესი... ხელისგულზე კვება... ისევე დედლები და მამლები, ისევე კვერცხები, ისევე ასიდან და ათასიდან ათი და ასი... ჰამა, სმა, ლანის თევზა, სობოთ, ყოველდღე ყწონვა მილოგრამებში, ჩაწერა, მოხსენებითი ბარათები; საკვების ძებნა, ვიტამინები, წამლები, სისუფთავე. სისუფთავე — ამას, სანამ დეიდაჩემი იყო, სახლი არ გამოუხვეტავს. ვაი, შე უბედურო! — შესტირა გადიდებულ სურათს. — აღარაა და, მე ვყვარო მსახური... და, ამას რომ ეგონა, იმ კაცთან წოლა და კოტრაილი ეყოფოდა... იმ კაცს კი, მაგრამ წიწილებს და ქათმებს არ ეყოლო...

მომეჩვენა, რომ ნუგეშამ წამოიწია, წამოვარდნა მოინდომა და ძალა არ ეყო, რათ თავშეკავება შეედო, ისევე ორივე ხელით თმებს ლაუზინდა და ისევე ბლუჯ-ბლუჯა ჩამოიტანა.

მე, რა თქმა უნდა, ხელეში ვერ ვეცემოდი, გოგოლას კი ეს უნდოდა, რომ ნუგეშას ეტირა, ეკივლა, თმა დაეგლეჯა, ლოყები დაეკაწრა, დაღლილიყო, დაქანცულიყო და იქნებ გულს მოშვებოდა. ცოტა მაინც ეშვებოდა.

— ნეტავი, თუ ღირს მაინც ამდენ წვალებად ეს მსვლილ-მსხვილი კვერცხები და ქათმები? ჩვენს ფერებში და მალაზიებში თუ ვინმეს უნახავს? — ვითომ ახლა ამის დარდი მქონდა.

— მალაზიებში და ფერებში? ვინაა, მაგისთვის რომ უშბლს გაიცხვებებს იმ კაცს ხარისხი უნდოდა, რომ კვერცხი და ქათამი ჰქონოდა. ამან, ამ უნდილმა ვერ ჰქნა, ერთი ღამე რომ გაათა და მეორე, მესამე დამეს ძილს თავი ვერ წაართვა. რამდენჯერ გადაუტოვა ის კვერცხები, მეცნიერი რომ ქათმების საქმელზე და წამლებზე დარბოდა. რუქით არ აკლდა, უკრანა და ბალტიისპირეთი... ქარნებში თავზე უნდა დადგომოდა, რომ ყუთთან სკენი ეშვოდა და ცარიელ ქატოთი და ჩენჩოთი არ ეკვება. მეცნიერულ წიწილებს მარტო დღისით კი არა, ღამითაც უნდათ ჰქვება და კრუხივით ზედ უნდა გადაეფოფო. ამ ქალბატონს, დეიდაჩემი, დაადგა ნათელი, ნაქმარების ჭინაზე, უნამომა არ იგრძნოს დედის ფასი რომ იწოდესო, ნივთს არ აკარებდა. ინკუბატორის წიწილივით დაკანკალბდა. წიწილებს ისე არეკინებდა და ზრდიდა, ამას ნიგვისის ბაყეში ჩაწყობილი, სუფრაზე მიტანილი თუ უნახავს. იმ კაცს ქალი კი, მაგრამ მეცნიერობაც უნდა... უკეთესი ხელფასი, თვარა, მშვიერი რომ ქალს დაუწევს, გაცვედნადება. ამას... ამისთანებითაა სახვე ქვეყანა, გონათ, ლოგინით იწყება და თავდება ყველაფერი ან, იქნება ჩაი აუღუფლო, ან დიდი წელისწყვეტით მჭადი გამოუცხონ. თუ ვინმეს თავი შეაჩქეს და ერთი თავპარანი შვილი გაუჩინეს, თავი ყოველნაირად

19.7.91



ვალოზილი ჰგონიათ...

— გოგოლა...  
— მაკალე, მე რომ კაცი ვიყო და შენ ის იყო, ვინც მე მინდა, სხვას რატომ ვინდობებ?  
— თუ გინდოდი?  
— ის შეგონე, ვინც მინდოდა და ლოგინს გარდა არ გამომაღეცი. და სხვა არის ის, ვინც მინდა, ხომ? ამიტომ იღებ დამაზახს და მიშენ ტყვიას, რომ უკეთესი ვარჩიე უარესს? და ამის მერე გინდომებ, ტყვიას რომ დამაზახი? თუ ამით ადასტურებ იმას, რომ უკეთესი ხარ და არ გინდომებ?

ენა ველარ შევუბრუნე. ახლაც რომ ისეთი რაიმე მეთქვა, რაც ზუსტი და დასაბუთებული არ იქნებოდა, გოგოლა ისევ არ დამინდობდა. მის მარტოხელობასა და უსოფარულოვად გადაგებაში იყო რაღაც, ღრმა სევდიანი, გაუმხელელი და, იქნებ, თავისთვისაც უპატიებელი შურისძიება იმ ლამაზმანებისა, რომლებიც დაუმსახურებლად ზღვებიან სატრფოები. მაგრამ სადაც მათი გარეგნობა-მომხიზველეობა თავდება, იმის იქით აღარაფერი არიან და თავისივე თავის მსხვერპლი ხდებიან... და მაინც დამნაშავეს სხვაგან ეძებენ, სხვა უნდათ დასაჯონ, რაკი ის კაცი ბრმა არაა, ან საქმე აქვს და საქმისთვის ეს კოსტარუჭა გამოუსადეგარია.

ჩემი გაჭუმბა მაინც ამ ჩვენი „სასმართლოს“ ლოგოკური დასასრული მეგონა, ჩვენ უნდა გავემართლებინა კაცი, რომ გადაგვერჩინა და დაგვედანაშაულებინა ქალი, ისიც მისი გადარჩენის

მიზნით. და ამდენ მოტყუებულ და ცრუპენტლებით სავსე ქვეყანაში ერთი მტკი იქნებოდა თუ ნაკლები, ამით, რაც არ გვიჭირს, ამაზე უარესი რა უნდა დაგვემართნოდა.

— შენც ენა ჩაგივარდა, ხომ! — ნიშნისგებით დამაცხრა გოგოლა. — ჯანდაბას იქით ჩვენი თავი... ნურც მე, ნურც შენ და ნურც ნურავის, მაგრამ დედამისს, დეიდაჩემს რას ეუბნება, მისი სული ხომ ჭირ ისევ აქ ტრიალებს.  
თავზე დამდგარა მიცვალებულმა — დედამაც რომ პასუხი მოთხოვა, ეტყობა, ისედაც უვოელგვარ ზღვარს გადამდარი ნუგუა შეშალა. არის უკიდურესი საშინელება, როცა ყოფნას არყოფნა ბევრად გიჟებს და იმ უსასოობის ჟამს რომ ხელი იოლად მიგიწვდებიოდეც, არარაობაში გადასახლებილი.

თურმე... სუსტი, უნიათო, განუსჯელი და თავკერძა ზოგჯერ ისეთ ნაბიჯს გადადგამს, ძლიერი, ნებისყოფიანი და კვიანი არაფრით რომ არ ჩაიდენს.

ეს ასეა თუ ისე, საქმე ის იყო, რომ ნუგუამ თავი ხელგებს ძალის ძალათი გამოგლიჯა: თმაგაწეწილი, ფეხშიშველა, ერთი ნახტომით მაგიდას ფოცხვერით დააფრინდა, აიტაცა რევოლვერი, მიიტანა გულთან და მე და გოგოლამ მხოლოდ გასროლის ხმით დააურუება შეტეულით, მანამდე განძრევაც ვერ მოვასწარი.

კედლიდან დედის გადიდებული სურათი, მაშინვე კი არა, ცოტა მოგვიანებით ჩამოვარდა. ტახტის

ზამბარებმა აისროლეს, იატაკს თავდაღმა დაეცა გოდება აღმოხდა და დაიშხვრა.

დანარჩენი, ალბათ, მაინც უმნიშვნელოა... თუნდაც ის, რომ გოგოლამ იატაკზე გაშხვართულს „დამაზახის“ ლულაში ხელი უტაცა, გამოგლიჯა და სახეში წაიშინა. მეც თავში ორივე ხელით საცემი გამიხდა, რომ არ მახსოვდა ამ „საბრალმდებლო პროცესში“ მკიდე როგორ ავავსე ტყვიებით, პისტოლეტში ჩავდე, ჩავკეტე და ფეხზე შევყენე. თვითმკვლელს ისე როგორ მოვუმზადე, რომ მხოლოდ თითის გამოკვრალა დასჭირვებოდა.

ალბათ არც ესაა სალაპარაკო, რომ ორივე გასისხლიანებულის — დაჭრილისა და თავგატეხილის მოვლა-პატრონობა მომიხდა... დაჭრილისა, რაკი ნუგუა იარაღის რა ისეთი მხმარებელი და მსროლელი გვეყვდა, დამაზახი თვალის დახამხამებაში აეტაცა, მკერდთან მიეტანა, გულისთვის პირდაპირ დაემიწვინა და მოესწრო ჩახმახი ისე გამოეშალა, არ დაეცლებინა და ამასობაში ხელგებში არ ვცემოდი.

მე რა, მე და გონს მოსულ გოგოლას იმის შიში გვეკლავდა, მეზობლები არ მოცვენლიყვნენ და იარაღისთვის არავის დავესმინეთ.

მაგრამ ამდენ ვი-ვაგლახში იმან მაინც გავიმართლა, დღეს იმდენი ისვრის, დამნაშავეს თუ უდანაშაულოს კლავს თუ თავს იკლავს, კაცი განმკითხავი არაა.

არც ჩვენ განუკითხვართ არავის.

ბედნიერი ხართ, რომ სამასი წლის წინათ არ მომკვდარხართ, თორემ ახლა თქვენს შესახებ უამრავი საიდუმლო გვეცოდინებოდა.

ისე, ალბათ, თავადაც შეამჩნევთ: რაკი მეტ-ნაკლებად ცოცხალი ხართ, ცოტა ვინმე თუ გაქცევთ ყურადღებას, მაგრამ საკმარისია მოკვდეთ, რომ ყველანი დარდისგან იწყებენ სმას, მართალია, ჭიჭების მიუქახუნებლად, მაგრამ მაინც იწყებენ და უყვებიან ერთმანეთს, თუ როგორი საინტერესო კაცი იყავით და ვერც ერთს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია: როგორ იარსებობ ახლა უთქვენოდ?

აი, ვთქვათ, დღეს, მაგალითად, მონა ლიზა ცოცხალი რომ იყოს: მერე რა? მისი ქმარი, კარგი, ჰო, ვაქრობის მუშაკი— ქურდბაცავა იქნებოდა, ალბათ. კარგი, ჰო, პოპულარული მხატვარი დანატყავდა მონა ლიზას პორტრეტს. მაშასადამე, მათ შორის რაღაც იყო. კეთილი, ჰო, ბენტერასავით იღიმება, —აქაოდა, აბა, თუ გამოიცნობთ, გუშინ სადღეზე რა ვჭამეთო? აბა, ყველაფერი ეს ვის რაში ანტერესებს?

მაგრამ წელს სწორედ ამ მონა ლიზას 488 წელმა მიუკაჟუნა და მის შესახებ ყველაფერი შევიტყვეთ, თანაც, არა იტალიიდან, არამედ კალიფორნიიდან, სადაც ცხოვრობს დოქტორი კედარ ადური. მართალია, ის ოთოლარინგოლოგია, მაგრამ დიდი ჭკუის კოლოფი გახლავთ

აი, რა აზრმა გაუნათა მას გონება. თურმე, არავითარი ღიმილი არ ყოფილა. მონა ლიზას სახის მარცხენა მხარის დამბლა ჭქონია. ჰოდა, პირის კუთხეები ამიტომ დაბრტყვიან. და თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მონა ლიზას დამცინავად მოუქუთავს თვალები, ისლა დაგვრჩება, რომ თქვენს არაკომპეტენტურობაზე ვიხარხაროთ. უბრალოდ, მისი მარცხენა თვალი მის მარჯვენა თვალზე პატარა გახლდათ— ისინი სხვადასხვა ზომისა იყო.

ჭოკონდას ღიმილის მთელი გამოცანა სულ ესაა!

ესე იგი, დოქტორმა კედარ ადურმა ყველას შეგვასმინა, რომ თუ მას, დოქტორ კედარ ადურს, სახის დამბლა ექნებოდა, ჩვენც ყველანი როგორ ჩავდგებოდით მისი, დოქტორ ადურის, დამბლიანი სახის პორტრეტის სანახავად და ვიტყუოდით: ეჭ, რა იდუმალი ღიმილი აქვს ამ ოთოლარინგოლოგს!

მართალია, ბეთხოვენმა მოასწრო მომკვდარიყო 1827 წელს, ჭერ კიდევ მანამდე, სანამ ახლა მისით დოქტორი



ელჟარდ ბრაფოვი

ტომ პელფერმენი დანტერესდებოდა ანუ მოასწრო მომკვდარიყო 164 წლით ადრე, ვიდრე დოქტორი პელფერმენი ყურადღებას მასზე გაამახვილებდა. მაგრამ დოქტორ პელფერმენს პირადი ნაცნობობა აუცილებლად არ მიაჩნია, მან უამისოდაც სავსებით ზუსტად გაოგო, თუ რატომ წერდა ლუდ-ვიგ ვან ბეთხოვენი კარგ მუსიკას.

ჩაბერა დოქტორმა პელფერმენმა შუქის ასარატში, დაიღვა თერმო და სავსებით ზუსტად დაადგინა: ბეთხოვენს სარკოიდი, ანუ, თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს, რეგმატიკში ჭირდა, მაგრამ სარკოიდი ხომ სხეულის ყველა ნაწილზე შემოქმედებს, მაშასადამე, ის იმ ნაწილებზეც შემოქმედებს, რომლებითაც მუსიკა იწერება.

საქმეც ისააო, გეისნის დოქტორი, რომ განუწყვეტელი ტკივილები ბრწყინვალე შთაგონებებს აღძრავდნენ. ის ჩვენ ყველასაც გვაიმედებს: „ბეთხოვენისთვის ეს, შესაძლოა, ჭოგონეთი იყო, მაგრამ ჩვენ ტანჯვა-ვაებანი გვაძლიდრებს“. ყურადღება თუ მაქცითე: „ჩვენო!“. ესე იგი, თუ თქვენ სადმე და როგორმე სარკოიდს გაშნასათ, თამამად შეგიძლიათ ფ. შილერის სიტყვებზე მეცხრე სიმფონია დაწეროთ და თუ, ამასთან ერთად, ბეთხოვენით ერთუც იქნებით, თქვენ ის, ალბათ, მოგეწონებათ კიდევც.


მაგრამ დოქტორმა პელფერმენმა მხოლოდ გააღრმავა ბეთხოვენის გამოცანა. საქმე ისაა, რომ დოქტორ პელფერმენის ინგლისში სარკოიდი 20 ათას ინგლისელს ჭირს. აი, ასეთი მუსიკალური ქვეყანაა. მაგრამ

ბეთხოვენი მაინც რატომღაც ინგლისში კი არა, გერმანიაში დაიბადა! ორასი წელი კიდევ მოვიცადოთ და, შესაძლოა, კიდევ ვინმე დოქტორმა პელფერმენმა ესეც ამოგვისნას.

ნაოლეონს რაც შეეხება, მასთან დაკავშირებით ყველაფერი უფრო მარტივადია. ის, უბრალოდ, ქალი იყო, მართალია, არა ერთბაშად, ის თანდათან ქალდებოდა. ეს სავსებით ზუსტად იცის ექიმმა რობერტ გრინბლატმა. ის აშშ—დან სხვებზე უკეთ ხედავს ყველაფერს.

პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემთვის ნაოლეონი ბევრი რამითაა გამოცანა. ვთქვათ, მაგალითად, რატომ უჭირდა მას შარღზე გასვლა მოსკოვში შესვლის წინ? ანდა, ბოროდინოსთან რატომ დაუსივდა ფეხები? გვარდია უკმაყოფილო იყო. შემდეგ, დრეზდენში, მამაკით და, კუკი აეშალა. რას გავს ეს, რაც არ უნდა იყოს, იმპერატორია. ახლა ამათა ვატერლოოში? მას გამარჯვება უკვე ოდნეუდაც არ ანტერესებდა და ინდიფერენტ-ტულად გაეცალა იქაურობას ცნებით.

მე ნაოლეონის ამგვარ ქცევას ვერ ვხსნიდი, დოქტორმა გრინბლატმა კი ახსნა. ამას რას გამოაპარემ! თურმე, ნაოლეონ-მა, უბრალოდ, სქესი შეიცვალა. საწინააღმდეგო სქესით შეიცვალა. დოქტორმა გრინბლატმა მას ჰორმონალური სისტემის ასეთი დისფუნქცია ჩაუწერა. რაღა დაგვრჩენია, მადლობა ვუთხრათ დოქტორ გრინბლატს: არ შეიძლება ნაოლეონი სახელმწიფო საქმეთაგან არ გადართულყო. მან მეტიც გააკეთა ახლა მეტიც გააკეთა ახლა



ისტორიკოსებისთვის გასაგებია, ნაოლეონი რატომაც ეუბნება თავის ცოლს ჟოზეფინას: „არა, დღეს საღამოს, არა, ჟოზეფინა, დღეს საღამოს არა!“ იქაოდა, ვითომ როდისმე სხვა დროსო.

აბა, მე რა ვუყო ამ თანამედროვე ექიმებს? ისინი ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნებიან. სამაგიეროდ, მონა ლიზასა და ბეთხოვენში კარგად ერკვევიან. თუმცა, არსებითად, იჭ, შიგნით იქნებ, მეც ნაოლეონი ვარ? თუმცა არაა საჭირო! თორემ ეგენი ქალთა კონსულტაციაში წამათრევენ.

რასაკვირველია, თანამედროვე ექიმებს მე არ ვინტერესებ. კარგი, ჰო, „ვაშინგტონ პოსტში“ გამოაქვეყნებენ უწყებას: „გრაფოვს ესა სჭირსო!“ რასაკვირველია, ამით ვერავის გააკვირვებ. აი, სხვა საქმეა, თუ იმას გამოაქვეყნებ, ხეოფსს იმიტომ აუგეს პირამიდა, რომ ის „ტურისტის საუზნის“ შექმამ მოკლაო, — ეს უკვე ჟღერს! ამაში საუკუნეთა სუნთქვაა, სუნთქვა რომლითაც იჭერეს გული მოლაყებ დოქტორებმა, არა, მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ, საბედნიეროდ, ნაოლეონი არა ვარ, ესე იგი, მონა ლიზა არა ვარ.

მაგრამ თქვენ ის თუ იცით, თავის დროზე რამ მოკლა ჟერარ ფილიპი? რასაკვირველია, შიღმმა! აბა, რა მოკლავდა? ესეც სადღაც ამოვიკითხე.

მაინც კარგია, რომ ხუთასი წლის წინათ არ დავბადებულვარ მონა ლიზად. თორემ, თუ გავიღმებდი, კი ხერიც დამადგებოდა!

თარგმნა ჯუშუბარ თითმერიამ.




# გოგონას მეგობარი

„მეგობრებო მოგიხდეთ მას, ის ძალზე თავისებური ბავშვია“. ასეთ რჩევას აძლევდა შვიდი წლის გოგონას მიღევა მარიკის მშობლებს სკოლის მოხუცებული მასწავლებელი პატარა ოვოსლავის ქალაქ რუმში. მიღევა იყო ბრწყინვალე გოგონა და მტკადა თავმდაბალი და ჩუმი გოგონა. ის თენოშენადად ნიჭიერი იყო მათემატიკაში და უამრავ წიგნს კითხულობდა თავისუფლად ლაპარაკობდა არა მხოლოდ სერბულ-ხორვატულზე, არამედ გერმანულ ენაზეც და ყველაფერ ამასთან ერთად გამოიჩინებდა მშველადი მუსიკალური ბოძით. მართალია, მიღევა საკმაოდ ძლიერად კოკლოსდა და არც სულაპაზით გამოიჩინებოდა, მაგრამ ჰქონდა მშვენიერი დიდრონი შავი თვალები. მომავალში ეს თვალები აღაფრთოვანებდნენ ყველას, ვინც კი ერთხელ მინც ჩახედავდა მათ.

გოგონას არჩვეულებრივი ნიჭი რება გაიფურჩქნა მოსიყვარულე მამის მიღევა მარიკის ზრუნვის წყალობით თითო მილოში სამხედრო განდღათ რომელსაც დამთავრებინა კარიერა და სოფლის მეურნეობასა და მეზღეობას მიჰყო ზელი მამამ ჭლიშვილი გავაწავა სერბიის ზარების სამეფო ლიცეუმში და მალე იქ მთელი ოჯახიც გადავიდა საცხოვრებლად.

როცა მიღევა 19 წლის გახდა, გაემგზავრა ციურიხის, აჭაურ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. აქ მან დაიწყო ლათინურის, ფრანგულის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ფიზიკის, ისტორიის, ზელოვნების და სტენოგრაფიის შესწავლა. მიღევას ჯერ ექიმობა უნდოდა, მაგრამ შემდეგ, უეცრად გადაწყვიტა, მათემატიკისი გამხდარიყო. იგი შევიდა ციურიხის პოლიტექნიკუმში და იქ



## სამი წლის ხასიათი

„სატირა მოკლე ზარვლებში“ ამ რუბრიკით ერთ-ერთი ყოველკვირეული პოლონური ჟურნალი აქვეყნებს სხარტ გამონათქვამებს; მათი ავტორები არიან პოლონელი პატარები, რომელთა ასაკიც... 2—7 წელია.

კითხულობ ამ ცუგრუმელებს აზრებს, ეცნობი მათ მიერ სამყაროს თავისებურ აღქმას და ფრიად თბილი და უჩვეულო გრძნობა გეუფლება. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ბავშვი ყველგან ბავშვია, ვინც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს იგი — პოლონელი თუ ჭართველი, ფრანგი თუ ეთიოპიელი... მათ ყველას ერნარად უხარია და ერთხარად სწყინს...

„ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ — რა კარგად აქვს ნათქვამი ცნობილ ფრანგ მწერალს ანტუან დე სენტ ეგზუპერიის. ჩვენ მართლაც ბავშვობიდან მოვდივართ და ამიტომ გადავწყვიტეთ ეს პატარა უცნაური და ლამაზი აზრები ამოგვეკრიბა აღნიშნული ჟურნალიდან და ჭართველი მკითხველისთვის შეგვეთავაზებინა.

სამი წლის ტომეკს ძალიან უყვარს ლაპარაკი ერთხელაც თავის ბებისთან ერთად სასეირნოდ იყო წასული. თბებრვლის ცივი დღეა. სეირნობისას ბავშვს პირი არ გაუჩერებია, სულ რაღაცას ეტიტინებოდა ბებისა. ბოლოს შესჩივლა, მცივაო.

ბებია შეწუხდა:  
— სად გცივა, ხელგებზე? ფეხებზე?  
— ჭკითა შევიღიშვილს.  
— არა, ენაზე...



ოთხი წლის ვანდა მოუთმენლად ელოდება დედის დაბრუნებას სამშობარო სახლიდან.

— რატომ ივინებს დედა ასე?  
— წარამარა კითხულობს პაწია.  
— ალბათ რიგში დგას და ელოდება, — ამშვიდებს ბებია.  
— როგორც ხორცს ელოდება ხოლმე? — ანტერესებს მას ბებია უდასტურებს, მცირე ხნის შემდეგ გოგონა სამზარეულოდან გამოდის, რაღაც ქალაღები უჭირავს ხელში:  
— ბებია, — ყვირის აფორიაქებული ვანდა, — როგორ იყიდის დედა ბავშვს, ტალონები სახლში რომ დარჩენია?...



ორწლიანხვერის დიანა უსმენს დედას, რომელიც მას წითელქუდას ზღაპარს უყვება. მიუხსლოვდა თუ არა დედა იმ ადგილს, წითელქუდას მგელი რომ ჰხვდება ტყეში, შეწუხებულმა დიანამ დაიყვირა:  
— დედა, უთხარი წითელქუდას, ნუ შევა ტყეში, თორემ მგელი შესჭამს...



მალე გაიცნო ახალგაზრდა კაცი, სტუდენტი ალბერტ აინშტაინი...

ისინი მალე დაახლოვდნენ. მიიღეს ხდება გენიალური აინშტაინის დამხმარე, შთამბეჭობელი და ცოლი.

საინტერესოა როგორ იყო მიიღეს ვას ჰეშმარიტი როლი აინშტაინის გენიალურ აღმოჩენებში, კერძოდ კი ფარდობითობის თეორიის შექმნაში? ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ მიიღეს ქმარზე უფრო გენიალური იყო... ეს ყველაფერი ჭერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი, მაგრამ ერთი რამ კი ზუსტადაა ცნობილი: მიიღეს უარი თქვა საკუთარ კარიერაზე და მთელი თავისი ნიჭი და ცოდნა ქმრის შემოქმედებით ინტერესებს მოახმარა.

მიიღეს თავიანთი სცემდა აინშტაინს და დიდადაც უყვარდა იგი.

ჭერ კიდევ ქორწინების ოფიციალურ გაფორმებამდე მათ შეეძინათ

გოგონა, რომელიც ადრე გარდაიცვალა. შემდეგ, მიუხედავად აინშტაინის მამის წინააღმდეგობისა, მიიღეს და ალბერტი ოფიციალურად შეთქმულდნენ. მათ შეეძინათ ბიჭი, ჰანს ალბერტი, შემდეგ კიდევ ერთი — ედუარდი. რა თქმა უნდა, მიიღეს და ალბერტი უიშვიათესი, საკვირველი წყვილი იყვნენ. გაბედული ფანტაზიის (ალბერტი) და გონების (მიიღეს) ამაღლებული და ამავე დროს სავსებით მიწიერი კავშირი. მაგრამ ბედნიერება, თუკი იგი საერთოდ არსებობს წუთიერია, და ამ ბრწყინვალე წყვილის კავშირი იმდენად მშვენიერი იყო, რომ არ შეიძლება დიდად გაკრძალებულიყო...

1911 წელს, უმცროსი ვაჟის დაბადების შემდეგ, ურთიერთობა მეუღლეებს შორის ფუჭდება. მსოფლიო ომი საბოლოოდ აშორებს მათ ერთმანეთს. მიიღეს ციურისში

რჩება, ალბერტი კი ბერლინში ცხოვრობს, სადაც ფიზიკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. აინშტაინის ნათესავებს ახარებთ ალბერტის ოჯახურ წიაღში დაბრუნება. აქ მას მალე ეუფლება მისივე ბიძაშვილი ქალი და ამიერიდან მიიღეს რჩება მიტოვებული ცოლის როლი. იგი ცდილობს მის გადაკეთებას თავდადებული დედის როლზე და მთელ თავის გრძნობებსა და ენერჯიას თავის ვაჟიშვილებზე ამახვილებს. უფროსი ვაჟი ბრწყინვალე ახალგაზრდა დადგა, უმცროსი კი მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა. ის გამოირჩეოდა ფაქიზი ფსიქიკით და ნასათის სირთულით. მას უნიკალური მახსოვრობა და იშვიათი მუსიკალური საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოხატვა, რაც საშინელ ტანჯვას გვირგვინდა. თანდათანობით მიიღეს და


აინშტაინის უმცროსი ვაჟი სულ უფრო მეტად ავადდებოდა სულიერად. თვით მიიღეს ცხოვრებაც, რასაკვირველია, ერთ გაუთავებელ წვალებადა იქცა. მხოლოდ ყოფილი ქმრის, ალბერტის, იშვიათი ვიზიტებს შემოაქვნიდა მიიღეს სულში სინათლის პატარ-პატარა სხივები. უნდა ითქვას, რომ მიიღეს, მიუხედავად მათი დაშორებისა, მთელი ცხოვრება უყვარდა ალბერტი.

1921 წელს თანაგრძობის თუ მადლობის ნიშნად ალბერტ აინშტაინმა ნობელის პრემიის მთელი თანხა ყოფილ ცოლს მიიღეს მარიკს გადასცა.

მიიღეს ბედი ტრაგიკულიცაა და ამასთანავე სინათლით სავსეც. მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ ქალის ყოველი ნაბიჯი მაღალი და კეთილშობილი გრძნობებითაა გამსჭვალული.

ალექსანდრე ბუაჩიკი.

\*\*



სამი წლის მაგდა საავადმყოფოში წაიყვანეს ავადმყოფი ბებიის სანახად. სახლში დაბრუნებულ ბავშვს ბიძა შეეკითხა:  
— რა ჰქენი, მაგდა, ბებია არ წამოიყვანე?  
— როგორ წამომეყვანა, ფეხით იყო დაბმული... უბასუსა ბავშვმა.




ოთხი წლის რობერტი ორ გერმანელ ბავშვთან ერთად თამაშობდა. თამაში რაღაც ვერ ეწყობოდა. გუნებაწამხდარი რობერტი მივიდა დედასთან და შესჩივლა:

— რატომ ლაპარაკობენ ასე სასაცილოდ, სულ არაფერი არ მესმის მათ!

— ისინი სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ და ამიტომაც სხვა ენაზე ლაპარაკობენ, — აუხსნა დედამ.

— არაფერიც, ერთმა ბიჭმა ენა გამომიყო და ზუსტად ისეთი ჰქონდა, როგორც მე. — თქვა ბიჭმა.



\*\*

ოთხი წლის ანია ლაპარაკობს ბიცოლასთან, რომელსაც საყვარელი კუ მოუტედა და ძალიან დადარდიანებულია. გოგოს სურს დაამშვიდოს ბიცოლა და ეუბნება:

— ნუ ნერვიულობ, ბიცოლა, აი, დედა წავა საავადმყოფოში, მე ძამიკო მათეუმს გამიჩენს და შენ — კუს...

\*\*

ორწლიანბავშვის ირინა ოთახში თამაშობდა. უცებ ქარი ამოვარდა და ფანჯარა მიარახუნა.

ირინამ ბებიასთან მიიბრინა და ჰკითხა:

— ბებია, ვინ ჩართო ქარი?

\*\*

სამი წლის ოლეგს ეუბნება დედა, რომელიც მასწავლებლად მუშაობს სკოლაში: ცოტაც და არდადეგები დაიწყება და ჩვენ ბიძია მირეტთან წავალთ დასასვენებლად.

ბიჭი მიუბრუნდა იქვე მყოფ მეორე ბიძას და ეუბნება:

— ბიძია, შენც ხომ წამოხვალ ჩვენთან ერთად?

— არ შემიძლია, მე არდადეგები არა მაქვს, — პასუხობს ბიძა.

— არა უშავს რა, ჩვენ გვაქვს არდადეგები და მოგვკემთ ცოტას...

კოლონურიდან თარგმნა აბრამოვი ბრიშვილი

№ 9-10 (656-657)  
საქტომგარი — ოქტომბერი  
1991

# დროშა

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს  
ყოველთვიური საზოგადოებ-  
რივ-პოლიტიკური და სალი-  
ტერატურო-სამხატვრო  
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

აკაკი ბაქრაძე, გულნარა ბახტაძე (პა-  
სუხისმგებელი მდივანი), ვანო გვებაძე,  
თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-  
რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ჯურაბ-  
ჯიბითაი, თამაზ ვილაძე, ნოდარ  
ჯაფარიძე.



გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე: ქართუ-  
ლი ანბანი. მხატვარი ვლადიმერ ქუთათელაძე.

გადაცემა წარმოებას 7.09.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.12.91.  
ქალაქის ზომა 80×90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება  
ოფსეტური წესით. ფაზაკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურ-  
ცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 27 000.  
შეკვეთა 2092. ფასი 70 კაბ.

Ежемесячный независимый общественно-политический и ли-  
тературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на  
грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типо-  
графия газетно-журнального издательства «Самшобло».  
Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8. пр. Руставели, 42.




რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-86, პასუ-  
ხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გაგზავნის —  
99-26-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-81-89.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



## თენგიზ ქართველიუზილი



გამოფენიდან

ქველი

თბილისის

მონატრება

ქ ნ თ უ ლ ი



მხაგრული

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო
პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ
ყ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც
ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	ჲ

ქ ნ თ უ ლ ი

